ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 14 – 15 ოქტომბერი, 2017 №244 (7478) ფასი: 50 თეთრი

## რა კონფლიქტი აქვს ბიზნესმენ გია გორგოშაძეს ყოფილ ცოლ ნინო დარსალიასთან




გვ.2

## 10 ოქტომბრიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# იგეგმება თუ არა სააკაშვილის ლიკვიდაცია 17 ოქტომბერს



ტრისტან წითელაშვილი: „უკრაინაში ქართველ სნაიპერებს ხოცავენ“

გვ.2



## ლევან ბერძენიშვილი: „ეს კონსტიტუცია შეიცვლება, რადგან სხვა მთავრობა მოვა“



„ამ ცვლილებებში არის კარგი მომენტებიც და ცუდიც, მაგრამ მთავარია, რომ მდინარაძეს არავის აზრი აინტერესებს“

## ლევან ხაბეიშვილი: „პუშკინის სკვერში დავწვებით“



„რაც კი რამე ცუდი გვქონდა, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გადმოიღო“

**სამართალი** გვ.4

### „სანტა-კლაუსს“ 4-წლიანი პატიმრობა მიესაჯა



### შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო





### ირაკლი ხახუბია: „ვსაუბრობ, როგორც გარდაცვლილი შვილის მამა და არა როგორც დეპუტატი“

**ეკონომიკა** გვ.6

### დეკემბერში ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას უნდა ველოდოთ



### „ტექდათვალიერება, პირველ რიგში, საზოგადოებრივ ტრანსპორტს უნდა ჩაუტარდეს“



გვ.5



### რას უკავშირებენ თამბაქოს იმპორტიორები მოხმარების 25%-იან შემცირებას?

ISSN 1987-9385

7 თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა უფრო დაიძაბება

11 მაია დათუნაშვილი პოლიტიკაში წავიდა

7 ჩრდილოეთ კორეამ ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიარა

# ლევან ბერძენიშვილი: „ეს კონსტიტუცია შეიცვლება, რადგან სხვა მთავრობა მოვა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

**„ამ ცვლილებებში არის კარგი მომენტებიც და ცუდიც, მაგრამ მთავარია, რომ მდინარაძეს არავის აზრი აინტერესებს“**



***— ბატონო ლევან, როგორ შეაფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებების მთელ პროცესს?***

— კონსტიტუციის ცვლილებების პროცესი სრულდება ისე, როგორც დაიწყო — ერთპარტიულად. ზღაპრებს კი გვიყვებიან, რომ ერთ პარტიაში ბევრი პარტია შედის, მაგრამ ამ ზღაპრების არავის სჯერა. გვეუბნებიან, თითქოს „ქართულ ოცნებაში“ მრავალი პარტიაა და მრავალი აზრის გაზიარება მოხდა, მაგრამ მათ არ გაიზიარეს არც ქართველი ხალხის, საზოგადოების აზრი და არც ევროპელების აზრი. არ გაიზიარეს არც პრეზიდენტისა და არცერთი ოპოზიციური ძალის აზრი. შესაბამისად, ეს არის პროცესი, რომელიც ერთმა პარტიამ, ერთმა კაცმა წამოიწყო და დაასრულა ისე, როგორც ეს მას უნდოდა, როგორც ამას, სამწუხაროდ, ყველა ჩვენი ხელისუფლება აკეთებდა.

თანხმობის დოკუმენტი ჯერ კიდევ წინ არის. როგორც ჩანს, საქართველო პოლიტიკურად, სამოქალაქო განათლების თვალსაზრისით არ არის მზად, შეთანხმებული კონსტიტუცია მიიღოს და ერთმანეთთან შეთანხმებული კონსტიტუციით იცხოვროს.

***— თქვენ ამბობთ, რომ ყველა ხელისუფლებამ შეცვალა კონსტიტუცია და ახალი ხელისუფლებაც შეცვლის?***

— დიახ. მოდის ხელისუფლება, მოაწყობს ამ ქვეყანას ისე, როგორც მას უნდა, მერე რომ გაირკვევა, რომ ესენი არიან ცუდები, მოდის ახალი ხელისუფლება, ის კიდევ ზუსტად იმას აკეთებს, რაც წინამ გააკეთა. რაც ახლა ხდება, რაშიც აკრიტიკებდნენ სააკაშვილს, ზუსტად იმას ჩადის „ქართული ოცნება“. შესაბამისად, პრობლემა არ არის არც ძველ ხელისუფლებაში და არც ახალში, პრობლემა არის საზოგადოებაში. არცერთი მთავრობა, რომელიც აქამდე გვყავდა, არ იყო თანახმა, რომ საზოგადოებასთან, ერთ რიგით მოქალაქესთან დიალოგზე წასულიყო.

***— რა არის ამის მიზეზი?***

— უპირველეს ყოვლისა, აბსოლუტური თავდაჯერებულობა, რომელიც აქვს ყველა მთავრობას. ეს კონსტიტუციაც შეიცვლება, იმიტომ რომ სხვა მთავრობა მოვა. თუკი ოდესმე მივაღწევთ იმას, რომ არ მოვიყვანოთ არავინ უმრავლესობით ხელისუფლებაში და კოალიციური მთავრობა გვეყოლება, სადაც 12-15%-იანი პარტიები შექმნიან ერთმანეთთან კოალიციას, მაშინ იქნება დიალოგი, მაშინ იქნება ერთმანეთის აზრის მოსმენა და გათვალისწინება.

სანამ 90-100%-იანი პარტიები გვეყოლება, მანამდე დიალოგი უბრალოდ წარმოუდგენელია. ვერავინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ასეთ უმრავლესობაში, ვერ შეძლებდა უკეთესი ნაბიჯის გადადგმას. ყველას ექნება ცდუნება, რომ 90 100%-იანი მხარდაჭერა ხელიდან არ გაუშვას და ჩაებღაუჭოს. ასე ჭკუას ვერ ისწავლი.

***— საკონსტიტუციო ცვლილებები როდესაც იწყებოდა, უმრავლესობამ სხვა განცხადებები გააკეთა, რომლებიც მერე დიამეტრულად შეცვალა. მოვლენების ასეთ განვითარებას ელოდით?***

— ვისაც აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ის სათავისო კონსტიტუციას წერს, არავინ იქნება კეთილი მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი აზრი გაითვალისწინოს. ამიტომ მოქალაქეებმა პასუხისმგებლობა უნდა გააცნობიერონ და საკუთარი ხმა არ უნდა დაარიგონ.

პარლამენტში ბევრი ისეთია, ვისაც არ იცნობენ და ახლა ეცნობიან. იმ ხუთ პარტიაში, რომლებზეც „ქართული ოცნება“ გვესაუბრება, ჯამში ექვსი კაცია. ეს ხომ არის რეალობა. არავინ მითხრას, რომ ზვიად ძიძიგურისა და ბუკიას გარდა სხვა რომელიმე კონსერვატორი ვინმეს ახსოვს. ესეც ხომ არის რეალობა. რაც შეეხება მწვანეებს, იქ გაჩეჩილაძის გარდა არასდროს არავინ ყოფილა პოლიტიკურად აქტიური. რა პარტიაზეა საუბარი.

საერთოდ, ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ მდინარაძემ თქვა, ჩვენ ისტორიას ვქმნითო. სანამ ასეთი აუტსაიდერები ქმნიან ისტორიას, მანამდე ასე იქნება. იმისთვის, რომ ისტორია შექმნა, სულ ცოტა, სააკაშვილი ან ივანიშვილი უნდა იყო.

***— ამ ცვლილებებში არის წინ გადადგმული ნაბიჯი?***

— რასაკვირველია, არის კარგი მომენტებიც და ცუდიც, მაგრამ მთავარი არის ის, რომ არავის აზრი არ გაითვალისწინეს. ახლა მდინარაძეს არავის აზრი არ აინტერესებს, იმიტომ, რომ მას აქვს ცხოვრებაში ერთი შანსი, იყოს კაცი, რადგან ბიძინა ივანიშვილმა სიაში ჩაწერა.

***— მთავარი მაინც რა იყო?***

— მათ ხალხთან ერთი საარჩევნო სისტემა განიხილეს და მიიღეს მეორე. ამის მერე ლაპარაკი დამთავრებულია. მათ ხალხს უთხრეს, კარგია ის საარჩევნო სისტემა, რომელიც მომავალში იქნება. თუმცა, ერთი ლოგიკური კითხვა ჩნდება: როგორ იქნება მომავალში კარგი, თუ დღეს არ ვარგა?! 2024 წელს ოქრიაშვილი რატომ არ ამოიღებს ხმას?! ოქრიაშვილი, რომელმაც ვითომ გადაწყვიტა ქვეყნის ბედი, ეს ნაწილი რაღაც კარგად ვერ აგვიხსნეს, ვერ გავიგე — რა, მერე აღარ დაგვჭირდება „პეესპე,“, წამლები ძვირი აღარ უნდა იყოს თუ რა ხდება?!

რანაირი გუნდია, სადაც ამხელა პოლიტიკური განსხვავებებია? ერთი ამბობს, დემოკრატია დღეს გვინდაო, მეორე ამბობს, არა, ზეგ იყოსო. ამით გვითხრეს, ევროპული მმართველობა აღარ უნდა იყოს არასდროსო — ამას როგორ დაეთანხმნენ?! თუმცა რეალურად ის კაცი იყო არა ოქრიაშვილი, არამედ ბიძინა ივანიშვილი.

***— თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს გაკეთებული აქვს განცხადება, რომ ის პროპორციული საარჩევნო სისტემის მომხრეა. მერე რა მოხდა? ამბობენ, რომ გადაარწმუნეს. ასეთი მარტივია მისი გადარწმუნება?***

— მე არ ვიცი. ბიძინა ივანიშვილი დიდი ხანია, პოლიტიკაში არ არის და ამ კითხვებს ვერ ვუსვამთ. რა მოხდა, როგორ განვითარდა მოვლენები, არ ვიცი. რაც ვიცი, არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ოქრიაშვილი და ირმა ინაშვილი.

***— ახლა პოლიტიკურად სჭირდება?***

— მას აქვს ასეთი აზრი, რომ ყველა თემიდან სჭირდება თითო კაცი. ეს არის პოლიტიკურად მავნე აზრი. თუმცა, აქედან არის გამოსავალი, შემდეგი არჩევნები ძალიან მალეა. თუ ქართველ ხალხს არ მოსწონს ის, რაც ახლა ხდება, შეუძლია, ღიად უთხრას, რომ არ მოსწონს. თუ არ ეტყვის, მაშინ პრეტენზიებიც არ უნდა იყოს. ჩვენ, რესპუბლიკელებს, გვეუბნებიან, თქვენ დაანგრიეთ ქვეყანაო, მერე კი გვეუბნებიან, 1% გაქვთო. 1 პროცენტი ქვეყანას ვერ ანგრევს, 100%-იანი „ქართული ოცნება“ კი ანგრევს.

# იგეგმება თუ არა სააკაშვილის ლიკვიდაცია 17 ოქტომბერს

## ტრისტან წითელაშვილი: „უკრაინაში ქართველ სნაიპერებს ხოცავენ“

შორენა მარსაგიშვილი

**კიევში მიხეილ სააკაშვილის დაანონსებული აქციებისთვის ემზადებიან. საქართველოს მესამე პრეზიდენტი ამბობს, რომ 17 ოქტომბრის უკრაინის უმაღლესი რადის წინ დაგეგმილი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უვადო აქციაში გადაიზრდება.**



მიხეილ სააკაშვილმა ამის შესახებ განცხადება 13 ოქტომბერს პრესკონფერენციაზე გააკეთა. მან საზოგადოება მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებაც გააფრთხილა.

პოლიტიკური რეფორმების მხარდამჭერ აქციაში, რომელიც 17 ოქტომბერსაა დაანონსებული, სააკაშვილის მოძრაობასთან ერთად მონაწილეობას იღებენ მოძრაობა „სლობოდა“, „სამოქალაქო პოზიცია“, „დემოკრატიული ალიანსი“, „ნაციონალური კორპუსი“, „ალტერნატივა“ და სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

აქციის ძირითადი მოთხოვნები ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნა, დეპუტატებისთვის სადეპუტატო ხელშეუხებლობის გაუქმება და საარჩევნო სისტემის შეცვლაა.

რუსი ჟურნალისტი აიდერ მუჟდაბაევი, რომელიც უკრაინაში ყირიმელი თათრების ტელევიზიის გენერალური დირექტორია, აქციის წინ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს: 17 ოქტომბერს რუსეთის სპეცსამსახურებმა შესაძლოა მიხეილ სააკაშვილის ლიკვიდაცია სცადონ.

— მიხეილ სააკაშვილის მკვლელობა იგეგმება. ეს შეიძლება იყოს 17 ოქტომბერს. მას რუსეთის გრუ-ს აგენტები უთვალთვალებენ და მოსკოვიდან ბრძანების მიღების შემთხვევაში ისინი თავის საქმეს გააკეთებენ. საკითხავია, გაიცემა თუ არა ბრძანება. თუ ბრძანებას მიიღებენ, შემდეგ იქნება მცდელობა, რომ ეს ყველაფერი უკრაინის ხელისუფლებას და კონკრეტულად პრეზიდენტ პოროშენკოს დაბრალდეს. ჩვენი პრეზიდენტის ადგილზე მე სააკაშვილის უსაფრთხოების სრულ უზრუნველყოფაზე ვიზრუნებდი. — წერს მუჟდაბაევი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მოსალოდნელ არეულობაზე საუბრობს ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი. ის უკრაინიდან ამ დღეებში დაბრუნდა და ამბობს, რომ სკანდალური ინფორმაციები ჩამოიტანა.

რატომ აპირებდა ის უკრაინაში სააკაშვილთან შეხვედრას, რა თამაშს თამაშობს ავაკოვი, ვინ და რატომ ნადირობს იქ ქართველებზე, ვინ დანალმა უკრაინა-პოლონეთის საზღვარი? — ამის შესახებ ტრისტან წითელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— თქვენ ახლახან ჩამოხვედით უკრაინიდან, სადაც სააკაშვილი საპროტესტო აქციებს იწყებს. რა მდგომარეობაა იქ და რა შანსები აქვს საქართველოს მესამე პრეზიდენტს?***

— უკრაინაში ძალიან მძიმე ვითარებაა. ხალხი ხელისუფლებით უკმაყოფილოა, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ სააკაშვილზე გიჟდებოდნენ. მას გარკვეული ძალები პოროშენკოს წინააღმდეგ საფრთხობელად იყენებენ.

ამ პროცესში უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვიც არის ჩართული. სწორედ მან შეიყვანა სააკაშვილი უკრაინაში და ის მფარველობს მას. მის მხარეზე იყო იულია ტიმოშენკოც, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება მოხდა.

***— რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?***

— ამბიციების გამო. ტიმოშენკო საშინლად ამბიციური ადამიანია. ის არავითარ შემთხვევაში

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# იგეგმება თუ არა სააკაშვილის ლიკვიდაცია 17 ოქტომბერს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

არ დაუშვებს იმას, რომ სააკაშვილი იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი. ტიმოშენკო დიდი ხანია, პრეზიდენტობისთვის იბრძვის.

მიშას არც კიევი უჭერს მხარს და არც ოდესა. მას დასავლეთ უკრაინაში უჭერს მხარს ხალხის რაღაც ჯგუფი. მას იაროშის „მემარჯვენე სექტორიც“ დაუპირისპირდა.

***— კოლომოისკისთან როგორ აქვს საქმე?***

— ის ისევ მის გვერდით დგას და ისიც იმიტომ, რომ პოროშენკოს ვერ იტანს და სააკაშვილის გამოყენება უნდა მის წინააღმდეგ. მოკლედ, მთელი სისტემაა ჩართული და შეიძლება რაღაც მოხდეს.

***— თქვენც სააკაშვილის შესაძლოა ლიკვიდაციაზე ხომ არ საუბრობთ. ყირიმელი თათრების ტელევიზიის ხელმძღვანელი ამტკიცებს, რომ გრუ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ლიკვიდაციას გეგმავს.***

— კარგით რა, რა ლიკვიდაცია. დღეს არავის აწყობს მიშას განადგურება, მათ შორის არც რუსეთს. ახლა ყველა მის პოლიტიკურ განადგურებას ელოდება. როგორც კი ეს მოხდება, მას ციხეში უკრავენ თავს და გაასამართლებენ.

ასევე არ გამოვა მისი პოლიტიკურად გაცოცხლება, არადა მცდელობას არ აკლებენ. კარგა ხანს ვიყავი უკრაინაში და ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ვუყურებდი.

რაღაც პერიოდი სულ მის გარშემო ვტრიალებდი. რამდენჯერმე მისვლაც დავაპირე, მაგრამ უკრაინულმა სპეცსამსახურებმა მითხრეს, არ მივკარებოდი. სააკაშვილის დაჯგუფებამაც მითხრა, ვიცით, რისი გაკეთება გინდა და ახლოს ნუ მოხვალო.

***— და რის გაკეთებას აპირებდით?***

— ცუდი რაღაცა არ მქონდა დაგეგმილი. მინდოდა შეხვედრას დავსწრებოდი, სადაც რამდენიმე კითხვას დავუსვამდი. წინასწარ ვიცოდი, რომ ამ კითხვებზე პასუხს ვერ გამცემდა, ეს იმით დამთავრდებოდა, რომ ერთი-ორს შემოვულაწუნებდი.

***— შემოსალაწუნებლად ვინ მიგიშვებდათ.***

— შეხვედრაზე რომ წავსულიყავი, შემოლაწუნებასაც მოვახერხებდი. გალაწუნება ვერ მოვახერხე, მაგრამ მასზე და მის დაჯგუფებაზე ბევრი სკანდალური მასალა ჩამოვიტანე. ამ სკანდალურ დოკუმენტებს ახლო მომავალში გავასაჯაროებ. ნაწილს საქართველოს მთავარ პროკურატურასაც გადავცემ.

***— პროკურატურისთვის მასალების გადაცემას რა აზრი აქვს? თქვენ ადრეც გადაეცით საგამოძიებო უწყებას სკანდალური მასალები, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა.***

— პროკურატურას არც ამ მასალებზე ექნება რეაქცია. დიდი ხნის წინ დავასკვენი, რომ საქართველოს ხელისუფლება მის გასამართლებას არ აპირებს.

უკრაინაში ბევრი შეხვედრა მქონდა, სადაც პირდაპირ მეუბნებოდნენ, თბილისს სააკაშვილის ექსტრადირება არ აწყობსო. როცა ამ თემაზე ესაუბრებიან, ჩვენი ხელისუფლება ექსტრადირებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

აქ მოსახლეობას რაღაც ამბებს უყვებიან და თვალებს უხვევენ. ამათგან მოთხოვნა რომ იყოს, უკრაინელები დღესვე გადმოსცემდნენ სააკაშვილს.

***— საქართველოს რატომ არ უნდა სააკაშვილის ექსტრადირება?***

— იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რა მოჰყვება მიშას ექსტრადირებას.

***— და რა უნდა მოჰყვეს?***

— აქციები დაიწყება. მისი მომხრეები გამოვარდებიან ქუჩაში. დაიწყება ყაყანი, ყიყინი და ყუყუნი, რასაც ჩვენი ხელისუფლება ერიდება.

***— სააკაშვილი 17 ოქტომბრიდან კიევში საპროტესტო აქციებს იწყებს. ამ აქციების შემდეგ შეიცვლება რამე? ბევრი მიიჩნევს, რომ შესაძლოა პოროშენკო გადადგეს.***

— პოროშენკო შეიძლება მართლაც გადადგეს, მაგრამ ეს ამ აქციების შედეგი არ იქნება. სააკაშვილი უკრაინაში საპროტესტო ტალღის აგორებას ვერ მოახერხებს. ის ხალხი, რაც მის გარშემო ტრიალებს, მიშას რესურსი არ არის. ეს არის ტიმოშენკოს და სხვების ხალხი. ისინი ფონს ქმნიან, რომ მიშას საზოგადოება უჭერს მხარს და ამით პოროშენკოს აშინებენ.

ამ სპექტაკლში აქტიურად მონაწილეობს ავაკოვიც. თავის ხალხს ისიც ახმარს სააკაშვილს.

***— ავაკოვი საბოლოოდ შეეკრა მიშას?***

— საბოლოოდ პოლიტიკაში არ იკვრებიან. ახლა სიტუაციას სჭირდება ასე. ავაკოვს პოროშენკოსთან აქვს რაღაც უთანხმოება და მის წინააღმდეგ იყენებს მიშას.

რაღაც დროით კიდევ ვაპირებდი უკრაინაში დარჩენას, მინდოდა, მოვლენების განვითარება ჩემი თვალით მენახა. უკრაინელმა კოლეგებმა მირჩიეს, რომ იქაურობა 17 ოქტომბრამდე დამეტოვებინა.

***— რატომ გირჩიეს წამოსვლა?***



— მითხრეს, ასე ჯობიაო და მეც მიმაჩნია, რომ ასე ჯობდა.

***— ფიქრობთ, რომ იქ რაღაც მაინც მოხდება?***

— რაღაცა აუცილებლად მოხდება. იქ, სადაც სააკაშვილია, როგორ შეიძლება პროვოკაცია არ მოხდეს. ძალიან საინტერესო მასალები ჩამოვიტანე იმაზე, თუ ვინ დანაღმა უკრაინა-პოლონეთის საზღვარი, საიდანაც სააკაშვილი უკრაინაში შევიდა.

***— საზღვარი დანაღმული იყო? სააკაშვილის მომხრეები ამბობენ, რომ ეს ხელისუფლების მიერ მოგონილი ზღაპარი იყო.***

— როგორ გეკადრებათ. საზღვრის ის მონაკვეთი მართლა დანაღმული იყო და იქ უკრაინელმა მესაზღვრეებმა მართლა ჩაატარეს განაღმვითი სამუშაოები. საზღვარი ამიტომაც ჩაკეტეს რამდენიმე საათით.

მიმდებარე ტერიტორია მიშას ხალხის მიერ იყო დანაღმული. სცენარი ასეთი იყო — იქ რამდენიმე ადამიანი უნდა აფეთქებულიყო. მერე მიშა გამოვარდებოდა, ხალხს მიეხმარებოდა და ერთ ამბავს ატეხდა. სერიოზული სპექტაკლი იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ინფორმაციამ გაჟონა და ეს ამბავი აღარ გამოვიდა.

17 ოქტომბერსაც შეიძლება კიევში რაღაც პროვოკაცია მოხდეს. ისეთ რაღაცებს კადრულობენ, ამათგან გამორიცხული არაფერია. ამიტომაც დავტოვე იქაურობა.

ახლა უკრაინაში ქართველებისთვის ძალიან მძიმე პერიოდი დადგა.

***— სიმძიმეში რას გულისხმობთ? კობა ხაბაზის მსგავსად, თქვენც იმას აპროტესტებთ, რომ რამდენიმე ათეულ ქართველს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა?***

— კობა ხაბაზის აზრზე როგორ უნდა ვიყო? უკრაინაში იმ ქართველებზეა დაწყებული ნადირობა, რომლებიც რაღაც დაკვეთებს ასრულებდნენ. რამდენიმე მათგანის ლიკვიდაცია უკვე მოხდა. მახაურის აფეთქებაც არ ყოფილა შემთხვევითი ამბავი. მასაც ბევრი რამე აქვს იქ გაკეთებული.

ჩამოტანილი მაქვს ქართველი სნაიპერების ჩვენება, რომლის მოსმენაც ყველას შოკში ჩააგდეს.

***— რომელ სნაიპერებზე საუბრობთ, იმათზე, რომლებზეც ამტკიცებდით, მაიდანზე ხალხს ესროდნენო?***

— მაგათზე მოგახსენებთ. დღეს უკვე ამ ადამიანებზე მიდის ნადირობა. ვიღაცას მათი მოშორება უნდა. ამ ყველაფერზე ეს სნაიპერები ჩვენებაში ღიად საუბრობენ.

***— ეს ჩვენება სამართალდამცავებს მისცეს?***

— ეს ჩვენება მე მომცეს. მათ ჩემთან ისაუბრეს და ეს საუბარი მათი ნებართვით ჩავიწერე. ისინი ახლა ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვენ.

***— ვისგან ითხოვენ ხელშეუხებლობის გარანტიას?***

— საქართველოს ხელისუფლებისგან. ისინი მზად არიან, საქართველოში დაბრუნდნენ და ყველაფერი მოუყვნენ გამოძიებას. ცოტა ხნის წინ მათი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მოკლეს.

***— ისიც სნაიპერი იყო?***

— სნაიპერი იყო და უკრაინაში მოკლეს. უკრაინაში მიდის ამ ხალხზე ნადირობა. იქ რამდენიმე ქართული დაჯგუფება მოქმედებს. მაქვს ჩანაწერი, სადაც ქართველები ერთმანეთს რაციით ესაუბრებიან და ამბობენ, დახოცილების ყურები წამოიღეო.

***— ბატონო ტრისტან, თქვენ ახლა რაიმე ფილმს გვიყვებით თუ რა ყურებზე საუბრობთ?***

— არანაირ ფილმს არ გიყვებით. მოისმენთ ჩანაწერს და ნახავთ. მოკლულის ყურებს დამკვეთები ითხოვენ. ამ ყურების მიხედვით უხდიან ქილერებს გასამრჯელოს.

***— ვის ხოცავენ, რუსებს თუ სეპარატისტებს?***

— რა რუსი და რა სეპარატისტები? იქ მკვდარი რუსი არ მინახავს მე. მიდის ქონების გადანაწილება და უკრაინელები ხოცავენ ერთმანეთს. რაც ჩვენთან 90-იან წლებში ხდებოდა, ის ხდება ახლა უკრაინაში.

იქ მყოფი ქართველები ძალიან ცუდ დღეში არიან, ამ შემთხვევაში ზონდერებზე ვსაუბრობ. მათზე ნადირობაა დაწყებული. გამოვაქვეყნებ უკრაინიდან ჩამოტანილ ჩანაწერებს და საზოგადოება ბევრ საშინელ ამბავს მოისმენს.

# ლევან ხაბეიშვილი: „პუშკინის სკვერში დავწვებით“

## „რაც კი რამე ცუდი გვქონდა, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გადმოიღო“

შორენა მარსაგიშვილი

**15 ოქტომბრიდან ნაციონალური მოძრაობა საპროტესტო აქციებს იწყებს. თბილისის საკრებულოსთან განცდილი მარცხის შემდეგ ისინი პუშკინის სკვერში გეგმავენ კარვების დაცემას და ასე აპირებენ ბიძინა ივანიშვილისთვის ხელის შეშლას.**




ვისთან ერთად იგეგმება აქციის გამართვა, როგორ აპირებენ ყოფილი პრემიერისთვის პრობლემების შექმნას, რა ახალ მეთოდებს იგონებს ხელისუფლება, — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***— თქვენმა პარტიამ საპროტესტო აქციები დააანონსა. საკრებულოსთან და მერიასთან გამართულ აქციებზე არაფერი გამოგივიდათ. ფიქრობთ, რომ მესამე ცდა იქნება შედეგიანი?***

— ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ პუშკინის სკვერი ბიძინა ივანიშვილის გარაჟად არ ქცეულიყო. იმისთვის, რომ ოლიგარქის სურვილი შეესრულებინათ, ხელისუფლებამ ყველაფერი იკადრა. მათ იკადრეს ისეთი რამეები, რაც შევარდნაძის დროსაც არავის უკადრია.

თბილისის საკრებულოში არაერთი ხმაურიანი სხდომა ჩატარებულა, მაგრამ არასდროს აუკრძალავთ იქ პარლამენტის წევრების შესვლა. არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ დაცვას საკრებულოს სხდომიდან საკრებულოს წევრი გარეთ გამოეთრია. „ქართულმა ოცნებამ“ ეს გააკეთა.

არქიფოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, საკრებულოს შენობა პოლიციის ალყაში მოაქციეს, შიგნით კი რამდენიმე ასეული პოლიციელი განათავსეს. ამ უკანონობითა და ძალადობით ამ ეტაპზე თავისი გაიტანეს, მაგრამ სულ ასე არ იქნება.

15 ოქტომბერს ნაციონალური მოძრაობა იწყებს აქციებს. ჩვენ რუსთაველის მეტროდან მოვაწყობთ მსვლელობას პუშკინის სკვერამდე და იქ დაწოლაც რომ დაგვჭირდეს, დავწვებით, მაგრამ ოლიგარქს 21 ოქტომბრამდე სამუშაოებს არ დავაწყებინებთ.

***— ამ აქცია-მსვლელობას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა აწყობს თუ სხვებიც შეგიერთდებიან?***

— ჩვენ ამაზე არავისთან კონსულტაციები არ გვქონია. ყველა თბილისელს შეუძლია, შეუერთდეს ამ აქციას. ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ თბილისელების კუთვნილი პუშკინის სკვერი არ უნდა გადაიქცეს ივანიშვილის გარაჟად. ბოტანიკური ბაღი უკვე საკუთარ ბოსტნად აქცია და ახლა ცნობილი ხდება, რომ გუდიაშვილის ქუჩაც წაუღია.

***— თქვენი პარტია გაალმასებით აპროტესტებს ივანიშვილისთვის ერთ ლარად ქონების გადაცემას, მაგრამ ნაციონალების დროს ასეთ ფაქტებს ხშირად ჰქონდა ადგილი. ხელისუფლება ამას ხშირად გახსენებთ და, თუ ეს მიუღებელი იყო, მაშინ რატომ არ აპროტესტებდით?***

— მე არ ვამბობ, რომ ეს კარგი იყო. ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით და ამიტომაც ვართ ახლა ოპოზიციაში. რაც კი რამე ცუდი გვქონდა, „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გადმოიღო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს იმაზე საუბარი, რომ წინა ხელისუფლების დროს ასე იყო.

ამავე ლოგიკით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნაციონალებსაც შეიძლებოდა ეთქვათ, რომ შევარდნაძის დროს დენი არ იყო და, ახლაც თუ არ იქნება, რა უჭირს. კრიმინალზეც შეეძლოთ, იგივე ეთქვათ.

ეს არ არის ნორმალური დამოკიდებულება, ხალხო. ახალგაზრდა ადამიანი ვარ და მინდა, რომ ჩემი ქვეყანა წინ წავიდეს და განვითარდეს. ესენი კიდევ იმ შეცდომებს იმეორებენ, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დაუშვა.

როგორ შეიძლება, ნორმალური იყოს თბილისის ცენტრში 1 ლარად მიწის გადაცემა. თან იმასაც ხომ გააჩნია, ვის აძლევენ. 1 ლარად მილიარდერს მისცეს ეს ადგილი. თან აქეთ რომ გვამადლიან, მილიონიან ინვესტიციას დებსო. აბა ერთი დავთვალოთ, რა ღირს თბილისის ცენტრში 2.000 კვ.მ. მიწის ფართობი. მილიონი ლარი ამ ნაკვეთის შესაძანადაც არ ეყოფოდა.

ვიღაცას თუ ჰგონია, რომ ოლიგარქი ინვესტიციებს დებს, ძალიან შემცდარა. იმ დღეს ვიყავით ლაგუნა ვერეს ტერიტორიაზე. იქაურობა გააუბედურა. თბილისის ცენტრი დააჭაობა, გააავერანა და თბილისის სტიქიის დროს იქ ვეფხვმა დაიბუდა, რომელმაც ადამიანი შეჭამა. ასევე გააავერანა იპოდრომი, იქაურობა მიიტაცა.

რამდენიმე დღის წინ ამასთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტი გავავრცელე. იქ წერია, რომ თუ ივანიშვილი დაარღვევს საინვესტიციო პირობებს და 30 გარაჟს არ ააშენებს, ჯარიმის სახით გადაიხდის 100 ლარს. ეს უკვე ცინიზმის ზენიტია. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი საზოგადოების აქტიურობა.

ხალხმა უნდა დაანახოს ოლიგარქს, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ისე არ უნდა იყოს, როგორც ეს ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ მოუნდებათ. და აღარც ქარაგმებით გვინდა ლაპარაკი, დავიღალეთ იმის მოსმენით, რომ წინა ხელისუფლება ასე იქცეოდა. ცუდში რომ ეჯიბრებით, აბა კარგის კეთებაშიც შეეჯიბრეთ.

მე შეცდომებსაც ვაღიარებ, მაგრამ გაკეთებულის ჩამოთვლაც შემიძლია და მის ჩამოსათვლელად თითები არ მეყოფა. და ამდენი საქმე რომ გვაქვს გაკეთებული, აუცილებლად ვაპირებთ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

***— თქვენ კი აპირებთ, მაგრამ ხალხის აზრია აქ მთავარი***

— ხალხიც გააკეთებს სათანადო არჩევანს. იმის იმედი ტყუილად აქვს ვინმეს, რომ პარტია, რომელიც არჩევნების გზით წავა ხელისუფლებიდან, უკან ველარ დაბრუნდება. გადახედეთ ამერიკას და ნახავთ, რომ ხან ერთი პარტია იგებს არჩევნებს, ხან მეორე. დანარჩენ დემოკრატიულ ქვეყნებშიც ასეა.

შეცდომებს ვაღიარებთ და, რაც მთავარია, პოლიტიკური ნაგვისგანაც გავთავისუფლდით. აქედან გამომდინარე, რატომ არ უნდა დავბრუნდეთ ხელისუფლებაში? აუცილებლად დავბრუნდებით.

***— პოლიტიკურ ნაგავში ვის გულისხმობთ?***

— პოლიტიკურ ნაგავს იმათ ვეძახი, ვინც ხალხის მოტყუებით მანდატები მოიპარა.

***— მოდით, ისევ აქციას დავუბრუნდეთ. ზემოთ აღნიშნეთ, რომ პუშკინის სკვერში ივანიშვილს 21 ოქტომბრამდე სამუშაოების დაწყების საშუალებას არ მისცემთ. 21 ოქტომბრის მერე რა ხდება?***

— 21 ოქტომბერს ტარდება თვითმმართველობის არჩევნები. ეს დღე ერთგვარად რეფერენდუმიც იქნება. ახლა თბილისელების გადასაწყვეტია, უნდათ თუ არა, რომ ქალაქის ცენტრი ივანიშვილის გარაჟი იყოს. თუ გადაწყვეტენ, რომ ივანიშვილს 1 ლარად აძლევენ ყველაფერს, ეს მათი ნებაა. ჩვენ ჩვენს თავთან მაინც ვიქნებით მართლები, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ.

2017, 14 — 15 ოქტომბერი, №244

# რა კონფლიქტი აქვს ბიზნესმენ გია გორგოშაძეს ყოფილ ცოლ ნინო დარსალიასთან





ადვოკატი ჩუბინიძე: „ვვარაუდობთ, რომ გია გორგოშაძის მითითებით შეიძლება ყოფილიყო ნინო დარსალიას მიმართ პოლიციის მხრიდან გამოჩენილი ინტერესი"

ჰიპერმარკეტ „გორგიას" დირექტორის გატაცების მცდელობისთვის 4 პირს ბრალი წაუყენეს

ჰიპერმარკეტ „გორგიას" დირექტორ გია გორგოშაძის გატაცების მცდელობას მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა. მედიაში აქტიურად განიხილება ის პრობლემები, რომლებიც გია გორგოშაძეს თავის ყოფილ მეუღლე ნინო დარსალიასთან აქვს.

ნინო დარსალიას ადვოკატი არჩილ ჩუბინიძე „ნიუპოსტთან" ამბობს, რომ მის კლიენტს კონფლიქტი აქვს ბიზნესმენ გორგოშაძესთან, რადგან ყოფილ მეუღლეებს შორის ქონებრივი დავა 3 წელია, მიმდინარეობს.

ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ პასუხისგებაში არიან მისაცემი გია გორგოშაძე და ნანა ყეინიშვილი.

— ვვარაუდობთ, რომ სწორედ გია გორგოშაძის მითითებით შეიძლება ყოფილიყო ნინო დარსალიას მიმართ პოლიციის მხრიდან გამოჩენილი ინტერესი. სხვა ლოგიკაში არ ჯდება, რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა ნინო დარსალიას გორგოშაძის წინააღმდეგ, რაღაცა სხვა ქმედებაში. ნინო დარსალიას ნამდვილად აქვს კონფლიქტი გია გორგოშაძესთან, დაწყებულია გამოძიება, წლების განმავლობაში მიმდინარეობს ეს გამოძიება. რამდენიმე ტომია შექმნილი ამ საქმეზე და, სავარაუდოდ, პასუხისგებაში არიან ამ საქმესთან დაკავშირებით გია გორგოშაძე და ნანა ყეინიშვილი მისაცემი, — განაცხადა ადვოკატმა არჩილ ჩუბინიძემ.

მისი თქმით, განქორწინების შემდეგ გია გორგოშაძემ ყოფილ მეუღლეს გარკვეული რაოდენობის თანხა გამოართვა და უთხრა, რომ თანხას ოქროს ბიზნესში დააბანდებდა.

— ნინო დარსალია ყოფილ მეუღლეს მის წინააღმდეგ ჩადენილი ქონებრივი თაღლითობის გამო ედავება. ამ საქმეში ფიგურირებს ნანა ყეინიშვილი გორგოშაძის სასარგებლოდ. როცა ქალბატონი ნინო და ბატონი გორგოშაძე განქორწინდნენ, იყო გარკვეული ქონება, ბიზნესის სახით, რაც ნინო დარსალიას ეკუთვნოდა, რომელიც თაღლითურად აღარ გადასცა გორგოშაძემ. ამის პარალელურად, გია გორგოშაძემ დარსალიას კუთვნილი ფული, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოართვა და მისცა ნანა ყეინიშვილს, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში წითელი ჯვრის ხელმძღვანელი იყო.

გორგოშაძე აცხადებდა, რომ ეს თანხა ოქროს ბიზნესში უნდა ჩაედო ყეინიშვილს. არც ოქროს ბიზნესია. ამის წერილობითი მტკიცებულებები არსებობს. გორგოშაძე ამბობს, რომ ყეინიშვილს მისცა, ყეინიშვილი კი ამბობს, მომცა და უკან დავუბრუნეო, თუ საერთოდ არ მოუციაო, — განაცხადა „ნიუპოსტთან" ადვოკატმა.

ჯერ კიდევ 2013 წელს ნინო დარსალია აცხადებდა, რომ მისი ყოფილი ქმარი გადამგდებია და რომ ბიზნესი მისი კუთვნილი ოქროს მოტყუებით ბიზნესში ჩადებით დაიწყო.

— მე 2 კგ-მდე ოქრო მქონდა და მოტყუებით ეს ოქრო ჩამადებინა ბიზნესში. როდესაც ცოლად გავყევი, ჰქონდა ორი პატარა მაღაზია და საოფისე შენობის კარკასი. დღეს 100 მილიონი აქვს. მომიშორა და ქუჩაში დამტოვა. გია გორგოშაძეს ბათუმშიც და თბილისშიც იცნობენ, როგორც ცნობილ გადამგდებს! რეპუტაცია ნულზე აქვს პარტნიორებთან! შეჰპირდება ვინმეს რამეს, მერე თავისას გაისწორებს და გადააგდებს. დიახ, ჩვეულებრივი თაღლითია! ერთი პერიოდი ნაციონალებს აფინანსებდა. ფინანსურმა პოლიციამ დიდი დარღვევები უპოვა, თუმცა დღესაც აგრძელებს სომხეთსა და აზერბაიჯანში მაქინაციებს, — ამბობდა ნინო დარსალია „რეპორტიორთან" საუბრისას.

ნინო დარსალია და მისი ადვოკატი ვარაუდობენ, რომ გია გორგოშაძეს გატაცების გათამაშება სურდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" არჩილ ჩუბინიძემ განუცხადა, გორგოშაძეს მისი გატაცების საქმეში ნინო დარსალიას გამოჩენით სურს, იმ დავაზე მოახდინოს ზეგავლენა, რომელიც ყოფილ ცოლთან აქვს. მისივე თქმით, გამოძიებამ დარსალია უკვე გამოჰკითხა და მის სახლში ჩხრეკაც ჩაატარა. სამართალდამცველებმა დარსალიას ბინიდან ორი ტელეფონი — უშუალოდ ნინო დარსალიასა და მისი შვილის ტელეფონები წაიღეს.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიების ერთ-ერთი სავარაუდო ვერსიით, გია გორგოშაძის ყოფილი ცოლი, შესაძლოა, ბიზნესმენის გატაცების მცდელობასთან იყოს კავშირში.

* * *

13 ოქტომბერს გია გორგოშაძის გატაცების მცდელობისთვის დაკავებულ ოთხივე პირს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. ვასილი ვასილიადი, გურამ დგებუაძე, მენთეშაშვილი და ფოცხიშვილი ბრალს არ აღიარებენ და დუმილის უფლებას იყენებენ.

როგორც ბრალდებულების ადვოკატებმა განაცხადეს, საქმეზე ბევრი გარემოებაა დასადგენი, მათ შორის ის, თუ როგორ მოხვდნენ ბრალდებულები იმ სახლში, სადაც ისინი დააკავეს.

ვასილიადისა და დგებუაძის ადვოკატ თამარ აბესაძის თქმით, ასევე დასადგენია იმ ვიდეომასალის ავთენტურობა, რომელიც შსს-მ გაავრცელა და ასევე საქმის მასალებში დევს. როგორც აბესაძემ აღნიშნა, შსს-ს მიერ 12 ოქტომბერს გავრცელებულ ვიდეომასალაში ვასილიადისა და დგებუაძის ამოცნობა პირადად მან ვერ შეძლო.

— დასადგენია, საერთოდ როგორ მოხვდნენ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები იმ სახლში. თუ ისინი ამ სახლში იყვნენ, არ ნიშნავს, რომ დანაშაულს ჩადიოდნენ, — განაცხადა თამარ აბესაძემ.

„კურიერისთვის" ცნობილი გახდა, რომ ამ ოთხკაციანი ჯგუფიდან, სავარაუდოდ, ორ პირთან ნინო დარსალიას ახლო ნაცნობობა აკავშირებს.

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1984 წელს დაბადებული დ.ქ. თბილისში, გოგჩის ქუჩაზე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნაგანის სისტემის არარეგისტრირებული რევოლვერი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

— ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისათვის. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით), — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## „სანტა-კლაუსს" 4-წლიანი პატიმრობა მიესაჯა



ბათუმში, 31 დეკემბერს „იალჩინ მარკეტში" მდებარე სავალუტო ჯიხურზე თავდასხმაში ბრალდებულს, რომელიც ყაჩაღობისას სანტა-კლაუსის ფორმაში იყო გამოწყობილი, სასამართლომ 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, განაჩენი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, დავით მამისეიშვილმა, ცოტა ხნის წინ გამოიტანა.

დაცვის მხარის ადვოკატები ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას და დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას გეგმავენ. მათი თქმით, წარმოდგენილ ვიდეომტკიცებულებაში ბრალდებული ჯემალ მარშანია არ არის.

ბათუმში, ახალი წლის ღამეს, სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა მაღაზია დააყაჩაღა. ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე თურქულ სუპერმარკეტ „იალჩინში" კარზე მამაკაცმა ღამის 00:00 საათზე, იმ დროს დააკაკუნა, როცა ახალი წლის დადგომას ფოიერვერკებით აღნიშნავდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" მაღაზიის მიმდებარედ მცხოვრებლებმა მაშინ განუცხადეს, სანტა კლაუსის ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა სუპერმარკეტის თანამშრომლებს უთხრა, რომ ახალი წლის მისალოცად მივიდა, კარის გაღების შემდეგ კი მან იარაღის მუქარით ფული მოითხოვა. მან სუპერმარკეტში მდებარე სავალუტო ჯიხურიდან დიდი ოდენობით თანხის წაღება შეძლო.

## ოზურგეთში მამაკაცის ცხედარი იპოვეს



ქალაქ ოზურგეთში, მეცნიერების ქუჩის დასაწყისში, გაზგასამართ სადგურის „პრომეტეგაზის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არხში მამაკაცის გვამი გუშინ, დაახლოებით 12 საათზე აღმოაჩინეს.

შსს-ს ინფორმაციით, გარდაცვლილი მეცნიერების ქუჩაზე მცხოვრები 71 წლის ვ.ზ. აღმოჩნდა. გარდაცვლილის შვილის განცხადებით, მამაკაცი გუშინ სათევზაოდ წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს.

## 1 გარდაცვლილი და 1 დაშავებული ავარია ჩხოროწყუში



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ჩხოროწყუ-მუხურის გზაზე, ლეგახარიეს მონაკვეთზე მსუბუქი ავტომობილი მოსრიალდა, ბორდიურს შეეჯახა და ხრამში გადავარდა.

ავტომობილში ძმები ისხდნენ, რომელთაგანაც ერთ-ერთი ადგილზე გარდაიცვალა. მეორე კი ჩხოროწყუს საავადმყოფოშია გადაყვანილი. ექიმების განმარტებით, დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ირაკლი ხახუბია: „ვსაუბრობ, როგორც გარდაცვლილი შვილის მამა და არა როგორც დეპუტატი"

— მომავალში სხვისი შვილები რომ გადარჩნენ, პოლიციაში რომ აღარ მუშაობდეს ასეთი მოუმზადებელი და უპასუხისმგებლო თუნდაც რამდენიმე თანამშრომელი — ჩვენი ოჯახი სამართლებრივი მექანიზმებით ბოლომდე იბრძოლებს, — ამის შესახებ ნათქვამია საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირაკლი ხახუბიას მიერ მისი შვილის, ბექა ხახუბიას გარდაცვალების მიზეზებსა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ირაკლი ხახუბია წერს, 2017 წლის 17 მაისს, გორის გვირაბთან განვითარებული ფატალური მოვლენების შედეგად მისი შვილი „უკვე ყოფილი პოლიციელების სრულიად გაუმართლებელი ქმედების გამო გარდაიცვალა".

— მინდა თავიდანვე გითხრათ, რომ მე ვსაუბრობ, როგორც გარდაცვლილი შვილის მამა და არა როგორც პარლამენტარი. ჩემი შვილის დაღუპვის მიზეზი გახდა დღეს უკვე ყოფილი პოლიციელების სრულიად გაუმართლებელი ქმედება — მათ გზის გადაკეტვის მიზნით გამოიყენეს სატვირთო ტრაილერი, რომელსაც არც კანონი უშვებს და არც გონივრული ზომების ფარგლებში ჯდება. ამ გადაწყვეტილებით მათ პრაქტიკულად გადარჩენის შანსი არ დაუტოვეს 21 წლის ბექას. გამოძიებამ დაადასტურა ის, რაც სამწუხაროდ შემთხვევის ადგილას მისულმა ახლობლებმა ნახეს — გორის გვირაბთან ახლოს, დასასვენებლად გაჩერებული სატვირთო ტრაილერის მძღოლს გიორგი ღლონტს, გორის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არაგონივრული და უკანონო გადაწყვეტილებით აიძულეს სიბნელეში, გორის გვირაბის გასასვლელთან ჩაეხერგა გზა ისე, რომ მაღალი სიჩქარით მოძრავ ავტომობილს გაჩერების შანსი აღარ ჰქონდა.



დიდი სისწრაფით მოძრავმა ბექა ხახუბიამ, განათებული გვირაბიდან სიბნელეში გამოსვლის მომენტში ავტომანქანის შეჩერებაც კი ვერ მოასწრო, ისე შეეჯახა სატვირთო ტრაილერს. მას არ ჰქონდა საკმარისი დრო, რომ მკვეთრად განათებული გვირაბიდან სიბნელეში მხედველობის ადაპტირება და რეაგირება მოეხდინა. ამასთან ერთვის ისიც, რომ ტრაილერი არ იყო მანათობელი ნიშნით (რეფლექტორით) აღჭურვილი, რაც სტანდარტის კიდევ ერთი დარღვევაა საპატრულო პოლიციის მხრიდან, რისთვისაც, სხვათა შორის, პოლიციელები მოქალაქეებს თავად აჯარიმებენ ხოლმე გზებზე. ყოფილი პოლიციელების მხრიდან ამ გაუმართლებელი ქმედების შედეგად, 21 წლის ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი ადგილზევე გარდაიცვალა.

ჩატარებული ექსპერტიზის და საგამოძიებო ექსპერიმენტის თანახმად, გვირაბთან ტრაილერის ამგვარი განლაგების პირობებში, მძღოლი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოასწრებდა რეაგირებას. ჩვენს ოჯახს არც წინასწარი შეფასებები, არც ემოციური განცხადებები არ გაუკეთებია. ჩვენი დარდი და ტკივილი გვაქვს და ბექას პატარა შვილს ვცდილობთ, უმამობა არ ვაგრძნობინოთ. ნაცვლად იმისა, რომ ყოფილი პოლიციელები და ახლა უკვე ბრალდებულები დალოდებოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, მათ საჯაროდ, ჩვენი ოჯახის ღირსების და ბექას სახელის შემბღალავი განცხადებები გააკეთეს, ცდილობენ ყველაფერი ჩემს გარდაცვლილ შვილს დააბრალონ. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის საქმის რეალური სურათი. მათ უკანონო გადაწყვეტილებით და ქმედებებით, ახალგაზრდა ბიჭი გაწირეს სასიკვდილოდ და ახლა იმის ვაჟკაცობაც არ ყოფნით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში მიღებულ საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა აიღონ.

მომავალში სხვისი შვილები რომ გადარჩნენ, პოლიციაში რომ აღარ მუშაობდეს ასეთი მოუმზადებელი და უპასუხისმგებლო თუნდაც რამდენიმე თანამშრომელი — ჩვენი ოჯახი სამართლებრივი მექანიზმებით ბოლომდე იბრძოლებს. ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და სამართლიანობა ჩვენი საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა. მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს! ჩვენ არ ვაპირებთ ამ თემაზე შემდგომში განცხადებების გაკეთებას და მოვუწოდებთ ყველას, პატივი სცენ ბექას ხსოვნას, პატივი სცენ დამწუხრებულ ოჯახს და თავი შეიკავონ სპეკულაციებისა და მანიპულირებისგან. დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, — ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულ ფაქტზე ყოფილ პოლიციელებს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით აქვთ წაყენებული, რაც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

# მიხეილ კორძახია: „ხელისუფლება ცდილობს, სოციალური პოლიტიკის პასუხისმგებლობა ბიზნესსექტორს დააკისროს“

– კერძო სექტორში დაზღვევას ვალდებულების ფორმა არ უნდა ჰქონდეს.

ამის შესახებ დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა მიხეილ კორძახიამ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ისაუბრა.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე ინიციატივით გამოდის, რომ საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა კერძო სექტორისთვის სავალდებულო გახდეს.

პროექტის გარშემო კონკრეტიკა არ არსებობს, თუმცა ცნობილია მონახაზი, რომ შესაძლოა, კერძო დამსაქმებელს გაუჩნდეს ვალდებუ-



ლება, 1.000-დან 3.000 ლარამდე შემოსავლის მქონე მოქალაქეები დააზღვიონ. აქ შესაძლოა, მოხდეს თანადაფინანსება, თუმცა პროცენტულად როგორ გადანაწილდება, ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დღეის მდგომარეობით, კერძო დაზღვევით მთლიანად მოსახლეობის მხოლოდ 14% სარგებლობს ანუ დიდი ნაწილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული.

მიხეილ კორძახიას თქმით, აღნიშნული პროექტის ამოქმედების შემთხვევაში, ხელისუფლება სოციალური პოლიტიკის პასუხისმგებლობას ბიზნესსექტორს დააკისრებს.

– თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ნაწილში რეალურად კიდევ უფრო მეტი რეგულირება შევა. ეს საკმაოდ სარისკოა და ძალიან კარგად გასაანალიზებელია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს. შეინიშნება ტენდენცია იმის, რომ ხელისუფლება ცდილობს, ყველაზე დიდი ტვირთი, რომელიც სოციალური პოლიტიკის ნაწილია, ბიზნესსექტორზე გადაიტანოს და ამ გზით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება უნდა. ეს ბიზნესსექტორს უფრო მძიმედ დააწვება. ეს სახელმწიფოს მხრიდან შესაშური მიგნებაა, მაგრამ არა საზოგადოებისთვის და არა ეკონომიკურ ნაწილში. რაც უფრო დატვირთავს სახელმწიფო ბიზნესსექტორს, ეკონომიკისთვის მით უფრო ცუდია, – აღნიშნა კორძახიამ.

მისივე თქმით, დღეს კომპანიების ნაწილი საკუთარ დასაქმებულებს ისედაც აზღვევს: „ამ ნაწილში თავისუფალი არეალი უნდა დარჩეს.“

კითხვაზე, მსგავსი პროექტის ამოქმედება ხომ არ გამოიწვევს კერძო სექტორში დასაქმებულებისთვის ანაზღაურების შემცირებას იმის ხარჯზე, რომ ხელფასი შემცირდეს და ის შემცირებული თანხა დაზღვევისკენ მიემართოს, კორძახია პასუხობს, ხელფასების კი არა, დასაქმებულების შემცირება მოხდება.

– ამ საკითხს სამართლებრივად თუ შევხედავთ, ხელფასების შემცირება ვერ მოხდება. შრომის კანონმდებლობაში გამკაცრებული პირობებია და შეუძლებელია, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულის თანხმობის გარეშე ხელფასი შეამციროს. ამ და კიდევ მთავრობის სხვა ინიციატივების მიხედვით, საერთო ჯამში მივდივართ იქამდე, რომ სამუშაო ადგილების შემცირება მოხდება. საპენსიო სქემის ახალი მოდელები, შრომის უსაფრთხოების ნაწილში ბერკეტების და ვალდებულებების დაკისრება ბიზნესისთვის – ეს არის ერთიანი პოლიტიკა მიმართული იქითკენ, რომ სამუშაო ადგილები შემცირდეს, – განაცხადა დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საშუალო ხელფასი 1.000 ლარია, შესაბამისად, ადამიანთა კატეგორია, რომელსაც 1.000-დან 3.000 ლარამდე ანაზღაურება აქვს, არც თუ ისე ცოტაა. შესაბამისად, ახალი ინიციატივა, ამოქმედების შემთხვევაში ადამიანთა საკმაოდ დიდ ჯგუფზე გავრცელდება.

# „ტექდათვალიერება, პირველ რიგში, საზოგადოებრივ ტრანსპორტს უნდა ჩაუტარდეს“

2018 წლის იანვრიდან ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერება ძალაში შევა.

უკვე ცნობილია მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ინსპექტირებას გაივლის საქართველოს მთელი ავტოპარკი და ეს პროცესი 2019 წლის ბოლომდე ეტაპობრივად განხორციელდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით, ქვეყანაში რეგისტრირებულია 1.19 მილიონი ავტომობილი. მათი 90 პროცენტი ანუ 1,08 მილიონი ავტომობილი 10 წელზე დიდი ხნისაა, აქედან 46.1 პროცენტი ანუ 550 ათასი ავტომობილი – 20 წელზე ძველია. ძველი ავტომობილების მფლობელები შიშობენ, რომ მათი მანქანა ტექნიკურ ინსპექტირებას ვერ გაივლის, თუმცა დარგის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ავტომანქანის ასაკი ინსპექტირების დროს გადამწყვეტი სულაც არ იქნება. ამის თაობაზე „ბიზნესპრესნიუსი“ შპს „ეკოტრანსპორტცენტრის“ დირექტორ ვასილ ურუშაძეს ესაუბრა:



– ტექნიკურ ინსპექტირებას ყველანაირი ავტომობილი გაივლის, რომელიც მოწესრიგებული და გამართულია. ავტომობილის ასაკი აქ არაფერ შუაშია: შეიძლება მანქანა 30 წლის და უფრო მეტი ხნისა იყოს, მაგრამ ტექნიკურადაც გამართული იყოს და ტექდათვალიერებაც თავისუფლად გაიაროს. ამავე დროს, შეიძლება ავტომობილი 2-3 წლისა იყოს, ვიზუალურადაც კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყოს. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას თბილისში მოძრავ მიკროავტობუსებზე, მათი უმეტესობა გარეგნულად კარგად გამოიყურება, მაგრამ მათი ტექნიკური მდგომარეობა სავალალოა: ყვითელი მიკროავტობუსების ძრავის, სამუხრუჭე სისტემის და სხვა ნაწილების მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ტექნიკური ინსპექტირების გავლა სავალდებულოა, უმეტესობა შემოწმებას თავს არიდებს და კანონს არ ასრულებს. ამიტომ, ტექდათვალიერება პირველ რიგში ჩვენს საზოგადოებრივ ტრანსპორტს დასჭირდება, – ამბობს ვასილ ურუშაძე.

მისი თქმით, რეფორმის მიმდინარეობა დაინტერესებულ პირებს შორის ბევრ კითხვას ბადებს.

– რა თქმა უნდა, ტექდათვალიერების შემოღება საჭიროა, რადგან მისი მიზანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაა, თუმცა ამ ყველაფერში სერიოზული არაპროფესიონალიზმი იგრძნობა. ამიტომ, არა მგონია საქართველოში ამ რეფორმამ იგივე შედეგი მოგვცეს, რაც განვითარებულ ქვეყნებში მიიღეს. რეფორმას არ ჰყავს კონკრეტული პირი, ან უწყება, რომელიც მის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი იქნება. პროცესი მიმდინარეობს გაუმჭვირვალედ, თანაც, რეფორმას მოსამზადებელი პერიოდი არ ჰქონია. ბევრს უჩნდება განცდა, რომ ეს წარსულში არსებული მანკიერი პრაქტიკის განმეორება იქნება, ბევრი მძღოლი ხარჯის გაწევას თავს არიდებს და ტექნიკური შემოწმების წინააღმდეგია, ამიტომ, მოსახლეობაში აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება აუცილებელია, – აღნიშნავს ვასილ ურუშაძე.

საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილიც აცხადებს, რომ ჩვენი ავტოპარკის ტექნიკური ინსპექტირება რაც შეიძლება დროულად უნდა დაიწყოს.

– შედეგი, რომელსაც მოუწესრიგებელი ავტომობილების გამო ვიმკით, გაცილებით მძიმეა იმ დანახარჯთან შედარებით, რასაც ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება მოითხოვს. მძღოლები ამ ხარჯს მოერევიან, დაზიანებული ჯანმრთელობის აღდგენა კი – ხშირად შეუძლებელია. სასწორის ერთ მხარესაა პრობლემები, რასაც მავნე გამონაბოლქვი იწვევს, მეორე მხარეს კი – დანახარჯები, რომელიც ავტომობილის მფლობელმა უნდა გაიღოს. თითოეული ჩვენთაგანი და სახელმწიფო ჯანმრთელობაზე უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე ავტომობილების გამართვაზე დაიხარჯება. როდესაც მძღოლი დადის ავტომანქანით, რომელიც შავად ბოლავს, ის პირდაპირი მნიშვნელობით დამნაშავეა, რადგან იცის, რომ წამლავს გარემოს, ბავშვებსაც და მოზრდილებსაც. შეუძლებელია, ჩვენი მძღოლებისგან დღესვე მოვითხოვოთ გერმანული სტანდარტი, რომელიც უმაღლესია – ეს ყველამ კარგად ვიცით, ამიტომ ეს პროცესი ეტაპობრივი უნდა იყოს: უნდა დაიწყოს დაბალი სტანდარტებით და თანდათან ავიდეს მაღალ სტანდარტამდე, მავნე გამონაბოლქვის პრობლემა კი, საქართველოში სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, – მიიჩნევს დავით მესხიშვილი.

მისი აზრით, ამ სფეროში უამრავი პრობლემაა და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი საწვავის ხარისხია.

– თუ მანქანაში უხარისხო, დაბინძურებულ ბენზინს ასხამთ, ის მოუწესრიგებელ ავტომობილზე არანაკლებ ზიანს მიაყენებს ადამიანებს, ამიტომ საწვავის ხარისხს ისეთივე ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორც ავტომანქანის გამართულობას. ჩემი მანქანაც ძველია – 17 წლისაა, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ მოვაწესრიგო და ნორმალური საწვავი ჩავასხა, რომ ჩემი მიზეზით ვინმე კიბოთი არ დაავადდეს. კარგია, თუ ყველა მძღოლი ამაზე იფიქრებს, – აღნიშნავს დავით მესხიშვილი.

# რას უკავშირებენ თამბაქოს იმპორტიორები მოხმარების 25%-იან შემცირებას?



საქართველოში თამბაქოს მოხმარება შემცირდა. ფინანსთა მინისტრის მონაცემებით, კლება დაახლოებით 25%-ს შეადგენს. მოხმარების და შესაბამისად, გაყიდვების შემცირებას ადასტურებენ იმპორტიორ კომპანიებშიც, თუმცა აცხადებენ, რომ კლება ძირითადად იმის ხარჯზე მოხდა, რომ მომხმარებლები მაღალფასიანი სეგმენტიდან დაბალფასიან სეგმენტებზე გადავიდნენ. იმპორტიორები კიდევ ერთ პრობლემად ბაზარზე კონტრაბანდული სიგარეტის წილის ზრდას ასახელებენ.

– საქართველოში 2013 წლიდან აქციზის განაკვეთები თამბაქოს ნაწარმზე ზრდადია და ბოლო 4 წლის განმავლობაში მან 5-ჯერ მოიმატა. შედეგად, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში თამბაქოს მოხმარება 25 პროცენტით შემცირდა, თქვენი პოზიცია გვაინტერესებს ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორია კომპანიაში გაყიდვები, რამდენად რეალურია აღნიშნული ციფრი? საბიუჯეტო შემოსავალი თამბაქოს აქციზით დაბეგვრიდან 150 პროცენტით გაიზარდა, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მინისტრს არ დაუკონკრეტებია და საზოგადოებისთვის უცნობია, რომელ ოფიციალურ სტატისტიკას ეყრდნობა ფინანსთა მინისტრი, რადგან ექსპერტები დიდი ხანია მთავრობას მწეველთა რაოდენობის აღრიცხვის წარმოებას ურჩევენ, რაც მათი ინფორმაციით ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს.

– მე არ ვიცი რა სტატისტიკაზე ისაუბრა ფინანსთა მინისტრმა, მაგრამ ჩვენ ქვეყანაში საერთოდ არ გაგვაჩნია და არ მიმდინარეობს მწეველთა რაოდენობის აღრიცხვა. ერთადერთი ორიენტირი, რითაც მწეველთა რაოდენობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეს არის თამბაქოს იმპორტი ქვეყანაში, რამდენია ახლა და რამდენი იყო წინა წელს. ამით შეგვიძლია გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ მწეველთა რაოდენობაზე, რაც რა თქმა უნდა, ზუსტ მონაცემს ვერ იძლევა. ამაზე დაყრდნობით ჩვენ წლების განმავლობაში ვიღებდით დაახლოებით სურათს მწეველთა რაოდენობაზე, რაც სახარბიელო არ იყო, ანუ ფასის ზრდა რაოდენობის შემცირებას ვერ განაპირობებდა, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი პაატა ბაირახტარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით საქართველოში თამბაქოს და მთლიანად თამბაქოს ნედლეულის იმპორტი (მათ შორის სიგარები და ა.შ.) შემცირებულია 1.6%, კერძოდ საქსტატის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 109.159.0 ათასი დოლარის თამბაქო და თამბაქოს ნედლეული, 2016 წელს კი ეს მაჩვენებელი 107.326,5 ათასი დოლარი იყო. რაც შეეხება 2017 წელს იანვარ-აგვისტოში თამბაქოს და თამბაქოს ნედლეულის იმპორტმა 53.978.2 ათასი დოლარი შეადგინა.

თუ თამბაქოს მოხმარება 25%-ით შემცირდა, ლოგიკურია, რომ თამბაქოს მწარმოებლებსა და იმპორტიორ კომპანიებზე შესაბამისად უნდა ასახულიყო. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას საქართველოში „ჯეი-თი-აის“ (ჯაპან ტობაკო ინტერნეიშენალის) კომუნიკაციების სპეციალისტი ივა ხასია აცხადებს, ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ სტატისტიკაზე ინფორმაცია არ აქვს, მაგრამ თამბაქოს მომხმარებლები მაღალფასიანი სიგარეტიდან დაბალფასიანზე გადავიდნენ.

– აქციზზე ფასის გაზრდის შემდეგ გაყიდვების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება სეგმენტებს შორის გადანაწილების კუთხით. უფრო მაღალფასიანი თამბაქოდან მომხმარებლები გადადიან საშუალო და დაბალფასიან სიგარეტზე, – ამბობს ივა ხასია.

წლევანდელ შედეგებზე ვერ საუბრობენ, თუმცა გაყიდვების შემცირებას ადასტურებენ „ფილიპ მორის საქართველოს“ წარმომადგენლობაში.

– წელიწადი არ არის დასრულებული, ამიტომ წლევანდელ შედეგებზე ვერ ვისაუბრებ. მაგრამ ზოგადად ახლა რომ ვუყურებ ტენდენციას, შემცირებულია. შემცირება მას შემდეგ დაიწყო, რაც აქციზის გადასახადი გაიზარდა, – განუცხადა „კომერსანტს“ კომპანიის წარმომადგენელმა ნონა მამულაშვილმა.

თუმცა შესაძლოა, ძველი პრაქტიკა იმპორტის დათვლის შედეგად მწეველთა რაოდენობის დაახლოებითი სურათის შექმნაზე აღარ გამოდგეს, რადგან თამბაქოს იმპორტიორები კონტრაბანდული თამბაქოს შემოდინების გაზრდილ რაოდენობაზე ამახვილებენ ყურადღებას. უაქციზო თამბაქოს შეძენა მომხმარებელს გაცილებით იაფი უჯდებათ, შესაბამისად, შესაძლოა, კომპანიებისთვის გაყიდვების რაოდენობის შემცირება თამბაქოს მოხმარების შემცირების პროპორციული არ იყოს.

როგორც „ჯეი-თი-აის“ კომუნიკაციების სპეციალისტი ივა ხასია აცხადებს, უკანონოდ შემოდინებულ სიგარეტზე კონკურენციის გაწევა შეუძლებელია.

– მეორე პრობლემა არის უკანონოდ უაქციზო თამბაქოს შემოდინება, რისი მაჩვენებელიც ბოლო პერიოდში ძალიან არის გაზრდილი. ამას ადასტურებს საზღვარზე დაკავებულთა სტატისტიკა და ბაზარზე არსებული სიტუაციაც. ბაზარზე კონტრაბანდული სიგარეტის წილი იზრდება, რაც კონკურენციისთვის ძალიან ცუდია. ჩვენ ოფიციალურად შემოგვაქვს და ყველა გადასახადს ვიხდით, ისინი კი ყოველგვარი გადასახადის გარეშე ახდენენ რეალიზაციას, – განაცხადა ხასიამ.

# დეკემბერში ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას უნდა ველოდოთ

საქართველო ძირითადად იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, შესაბამისად, ეროვნული ვალუტის გაუფასურება სამომხმარებლო ბაზარზე ყოველთვის უარყოფითად აისახება და მოქალაქეების ცხოვრებას ართულებს.

ლარის კურსის ვარდნა კიდევ უფრო მტკივნეული საკითხია დოლარში ვალების მქონე მოსახლეობისთვის. ასეთი კი ბევრია.

ეროვნული ბანკის ბოლო მონაცემებით, აგვისტოში ვადაგადაცილებული სესხები 2.2 მლნ ლარით გაიზარდა და ჯამურად 432.6 მლნ ლარი შეადგინა. ვადაგადაცილებული სესხების 39.3 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ცენტრალური ბანკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 57.1 პროცენტს გაუტოლდა.

ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ლარის კურსი სტაბილური იყო. მაგალითად დოლართან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსი 2.38-2.39 ნიშნულის ფარგლებში მერყეობდა. აგვისტოს მიწურულს კი ლარის გაუფასურების პროცესი დაიწყო და დღეის მონაცემებით, დოლართან მიმართებაში, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი 2.4783 ნიშნულზეა.

ხელისუფლება ლარის გაუფასურებას დროებითი ფაქტორით ხსნის. „პირველი 8 თვის განმავლობაში საგადასახდელო ბალანსში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვაქვს, ძალიან კარგად გვეზრდება ტურიზმი, ექსპორტი და ფულადი ჩარიცხვები, ჯამურად 700 მლნ დოლარით არის გაუმჯობესებული აღნიშნული, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს კურსის სტაბილურობაზე. თვითონ სტაბილურობას რაც ეხება, ჩემი დაკვირვებით, ეს არის სეზონური მოვლენა. თუ ჩვენ დავაკვირდებით, სადღაც 15-20 აგვისტოდან დაიწყო აღნიშნულმა გამოვლინება, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა მე ამ წუთში ვაფასებ ამას, როგორც ერთჯერად გამოვლინებას, რომელმაც უკვე გადაიარა“, — ეს განცხადება საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 7 სექტემბერს გააკეთა.

საქართველოში, რომელიც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის მქონე ქვეყანაა, ლარის გაცვლით კურსს აყალიბებს როგორც ფუნდამენტური, ისე დროებითი ფაქტორები. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რა მდგომარეობაა თითოეული იმ მიმართულებით, რომელიც ლარის კურსის დადგენაში უმთავრეს როლს თამაშობს.

ვალუტის კურსის ჩამოყალიბებაზე ფუნდამენტურ გავლენას ახდენს სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. ეკონომიკის დოქტორის ირაკლი მაკალათიას განცხადებით, თუ გადავხედავთ საქართველოს სავაჭრო ბალანსს 2017 წლის იანვრიდან დღემდე, ვნახავთ, რომ ექსპორტი წინა წელთან შედარებით მკვეთრადაა გაზრდილი და შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელიც არის, თუმცა აქვე აღნიშნავს:

— მდგომარეობას დადებითად მაინც ვერ შევაფასებ, რადგან ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებულია რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების ზრდით. ჩვენი მთავარი ექსპორტიორი ქვეყანა დღეს არის რუსეთი, სადაც გადის: ალკოჰოლური სასმელები, მინერალური წყალი და ფეროშენადნობები. ეს არც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მიანიშნებს და ამავე დროს დამოკიდებულს გვხდის პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნის ბაზარზე, რომელსაც დაბალი ხარისხის მოთხოვნები ახასიათებს, — აცხადებს ირაკლი მაკალათია.



ლარის სიჯანსაღის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფულადი გზავნილები. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა, წინა წელთან შედარებით 15.1 პროცენტით გაიზარდა და 121.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ფულადი გზავნილების დადებითი ტენდენცია, აგვისტოს მიწურულს დაწყებული ლარის გაუფასურების მიზეზი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება სექტემბრის თვის ფულადი გზავნილების მოცულობას, ეს მონაცემები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

გაცვლითი კურსის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყანას 5.822.835 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19.2 პროცენტიანი ზრდაა. მიმდინარე წელს საერთაშორისო ვიზიტორთა პიკური მაჩვენებელი აგვისტოში დაფიქსირდა — 1,080,449, სექტემბრიდან კი როგორც მოსალოდნელი იყო, მათი რაოდენობა შემცირდა. გასულ თვეში, აგვისტოსთან შედარებით საქართველოს 316,720-ით ნაკლები საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ვინაიდან ლარის გაუფასურება აგვისტოს ბოლოს დაიწყო, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პროცესს ბიძგს ტურიზმის სექტორი ვერ მისცემდა, თუმცა აღნიშნავენ, რომ სექტემბერში ტურისტთა ნაკადის შემცირება, ლარის გაუფასურების პროცესის გახანგრძლივებას ხელს უწყობს.

ეკონომისტი აკაკი ცომაია აცხადებს, რომ ლარის გაუფასურებაში მნიშვნელოვანი როლი დროებითმა ფაქტორებმა ითამაშეს. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს ტურიზმის სექტორიდან გამომდინარე მოლოდინების ფაქტორს.

— ტურისტული სეზონის დამთავრებასთან ერთად ადამიანებს აქვთ მოლოდინი, რომ ლარი გაუფასურდება, შესაბამისად ეს ფაქტორი მოკლევადიან პერიოდში ძალიან დიდ გავლენას ახდენს ლარის გაუფასურებაზე. ამიტომაც ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც დაიწყო ლარის გაუფასურება და რამდენიმე დღეში უცებ დაეცა კურსი, იყო მოლოდინის ფაქტორი... როდესაც საზოგადოებას აქვს მოლოდინი, რომ ლარი გაუფასურდება, როგორც წესი ხდება ტრანზაქციების ზრდა და ლარის კონვერტაცია დოლარში, ამ დროს განსაკუთრებით საფინანსო კომპანიები, ბანკები, მიკროსაფინანსოები აქტიურობენ, — ამბობს აკაკი ცომაია.

კითხვაზე, რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია გვპასუხობს:

— მთავარი მიზეზი თუ რატომ არის დოლარის მაღალი კურსი ლართან მიმართებაში, გახლავთ ის, რომ ჩვენ კვლავ იმპორტიორ ქვეყნად ვრჩებით, მთავარი სამომხმარებლო პროდუქტებიც კი იმპორტირებული გვაქვს, ძირითადად ვაჭრობა მიმდინარეობს დოლარში და ევროში, სწორედ მაღალი დოლარიზაცია გვაძლევს ვალუტის კურსის იმ სურათს რა სურათიც გვაქვს დღეს.

ბოლო წლების ტენდენციას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ზაფხულში ლარი დასტაბილურებულია, სექტემბრიდან უფასურდება, დეკემბერში კი ეროვნული ვალუტის გაუფასურების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. ლარის კურსთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება ადვილი საქმე არ არის, თუმცა მოცემული რეალობის და ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით, ექსპერტები ამბობენ, რომ 2017 წლის დეკემბერში ლარი კიდევ გაუფასურდება. ეკონომიკის დოქტორის ირაკლი მაკალათიას განცხადებით, ის ფაქტი, რომ 2018 წლის ბიუჯეტი კვლავ 1 დოლარი = 2,50 ლარზე არის დაანგარიშებული, ოპტიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს და სავალუტო ბაზარზე მომდევნო წელიც იმავე სცენარით წარიმართება როგორც წლევანდელი.

— პროგნოზს რაც შეეხება, ცხადია დეკემბრის თვეში ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას უნდა ველოდოთ. ეს ტენდენცია წლებია გრძელდება. ყოველი წლის დეკემბერში იზრდება მოთხოვნა ლარზე, ცხადია მსგავსი ტენდენცია გაგრძელდება წელსაც და სექტემბრიდან დაწყებული დეკემბრის ჩათვლით უნდა ველოდოთ ლარის ეტაპობრივ გაუფასურებას, ხოლო მის მაქსიმალურ მნიშვნელობას დეკემბრის თვის შუა რიცხვებიდან მიაღწევს. კლებას და კურსის შედარებით დასტაბილურებას უკვე 2018 წლის გაზაფხულიდან უნდა ველოდოთ, — ამბობს ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ვალუტის კურსის სტაბილურობის მთავარ, ფუნდამენტურ ფაქტორს წარმოადგენს სავაჭრო ბალანსი. ირაკლი მაკალათიას განცხადებით, ეკონომიკური განვითარებისა და ლარის კურსის სტაბილურობისთვის საჭიროა გაიზარდოს საგარეო სავაჭრო სალდოს მნიშვნელობა.

— ადგილობრივი წარმოების განვითარებით უნდა მოხდეს ექსპორტის ზრდა, ნაკლებად დამოკიდებული გავხდეთ იმპორტირებულ საქონელზე და ნაკლებად შეგვეხება საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესები. ასევე ნაკლებად შეეძლებათ იმპორტიორებს დააწესონ მათი თამაშის წესები და ფასები ადგილობრივ ბაზარზე, ამავე დროს მეტი იმპორტი ნიშნავს მეტ უცხოურ ფულად ნაკადებს ქეყანაში, რაც გახდება ვალუტის კურსის დასტაბილურების გარანტი... ინვესტიციები არ იდება წარმოებად დარგებში, რომლებიც არის კვლავწარმოებადი და ქვეყანაში ეკონომიკურ დოვლათს ქმნის. ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე, ცხადია, კარგია რომ ინფრასტრუქტურა ვითარდება, თუმცა ის ვერ ქმნის ეკონომიკურ დოვლათს და ყოველი ასეთი ინვესტიცია მხოლოდ დროებით სახეს იძენს. ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ ტურიზმზე, დარგი პერსპექტიულია, მაგრამ ის არის სეზონური, ამავე დროს ქვეყანაში არსებული გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი წარმოების განუვითარებლობა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ უცხოელმა ტურისტებმა უფრო მეტი თანხა დახარჯონ და დატოვონ ადგილობრივ ეკონომიკაში ვიდრე ამას დღეს აკეთებენ, — აცხადებს ირაკლი მაკალათია.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის როლს მიმდინარე პროცესებში. ლარის კურსზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ლარის მასა. საქართველოში ფულის მასის მიწოდებას ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით აკონტროლებს. მკაცრი მონეტარული პოლიტიკის პირობებში ქვეყნის ცენტრალური ბანკი ეკონომიკაში ფულის მასის მიწოდებას ზღუდავს, რათა შეაკავოს ინფლაციური პროცესები.

საქართველოში, ივლისთან შედარებით აგვისტოს თვეში ინფლაციის დონე 0,2 პროცენტი იყო, წლიურმა ინფლაციამ კი 5,7 პროცენტი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ბოლო სხდომა 6 სექტემბერს გაიმართა. კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 7 პროცენტზე დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

— ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკა შესაბამისობაშია არსებულ პროგნოზებთან. აგვისტოში წლიური ინფლაცია შემცირდა და 5.7 პროცენტი შეადგინა. არსებული პროგნოზით, ინფლაცია წლის ბოლომდე მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება და მომავალი წლის დასაწყისში, დროებითი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, სამპროცენტიან მაჩვენებელს დაუახლოვდება. ამასთანავე, სტაბილურია ინფლაციური მოლოდინებიც, — ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

რამდენად სწორი იყო ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება, ამის შესახებ ექსპერტთა წრეებში მოსაზრებები განსხვავებულია. ნაწილი მიიჩნევს, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს საპროცენტო განაკვეთი 0,25 პროცენტით უნდა გაეზარდა, ნაწილი კი ბანკის გადაწყვეტილებას დადებითად აფასებს.

ეროვნული ბანკის როლი ლარის გაუფასურების პროცესის შეჩერება არ არის. როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური ბანკის ფუნქცია ინფლაციური პროცესების კონტროლია. ამის მიუხედავად ეკონომიკის ექსპერტი აკაკი ცომაია აცხადებს, რომ რეფინანსირების განაკვეთის დადგენის პროცესში ეროვნული ბანკი ლარის კურსს ირიბად უნდა ითვალისწინებდეს.

— ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იმ მოტივიდან, რომ ინფლაციის დონე იყო დაბალი. ჩემი აზრით, ამ პროცესში ეროვნული ბანკი ირიბად უნდა ითვალისწინებდეს ლარის კურსსაც, იმიტომ რომ ლარის მკვეთრ გაუფასურებას შეუძლია გააძვიროს იმპორტირებული საქონელი და საბოლოო ჯამში მივიღებთ ლარის გაუფასურებით გამოწვეულ ინფლაციას“, — გვითხრა ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ.

ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია ეროვნული ბანკის ქმედების შეფასებისას აცხადებს: „რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 7 პროცენტზე დატოვება ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, თუმცა ზედმეტი ჩარევებით, რეგულაციებით დადებით შედეგს ვერ მივიღებთ. ყოველი გადადგმული ნაბიჯი, იქნება ეს ინტერვენცია თუ რეფინანსირების პროცენტული ცვლილება, არის დროებითი ხასიათის და გრძელვადიან შედეგს ვერ მოგვცემს. ამ ეტაპზე შეიძლება იყოს ასეთი მიდგომა, რომ ფულადი ბაზრიდან მოხდეს მეტი ლარის ამოღება და ასე დავასტაბილუროთ კურსი, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ლარის დასტაბილურებისა და ეკონომიკური განვითარების უალტერნატივო გზა არის ადგილობრივი წარმოების მატება და ექსპორტის ზრდა“.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ეკონომიკაში არსებული დინამიკა ძალიან სახარბიელოა“

— ჩვენ ძალიან დიდი ზრდა გვაქვს მშენებლობის სექტორში. მთლიანად ეკონომიკაში დინამიკა დღეს ძალიან სახარბიელოა, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გლდანში, ბეტონის ფილების მწარმოებელი ქარხნის — მეგაპროდაქშენის გახსნისას განაცხადა.

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას, თან ახლავს ასეთი ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია. მისივე თქმით, აღნიშნული საწარმო ნამდვილად არის ტექნოლოგიური ცვლილების მომტანი მშენებლობის სფეროში.

პრემიერის განცხადებით, აღნიშნული საწარმო შეიქმნა ორი საწარმოს ბაზაზე, რომელთაგანაც თითოეული იყო პროგრამა აწარმოე საქართველოში ბენეფიციარი.

კვირიკაშვილის თქმით, ორივე საწარმოს ფინანსურ კომპონენტში სახელმწიფოს მხრიდან ჰქონდა დახმარება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რომლებსაც აღნიშნული საწარმო აწარმოებს, „იქნება ძალიან ინტენსიურად გამოყენებული მშენებლობის პროცესში, ვინაიდან მას ხარისხის მაჩვენებლები აქვს ძალიან სახარბიელო იმისთვის, რომ გამოყენებული იქნას მშენებლობის პროცესში“.

— ჩვენ ძალიან დიდი ზრდა გვაქვს მშენებლობის სექტორში. მთლიანად ეკონომიკაში დინამიკა დღეს ძალიან სახარბიელოა. 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2017 წლის ბოლოს ჩვენ დავასრულებთ 36%-იანი ზრდით მხოლოდ ინფრასტრუქტურის ნაწილში. ხოლო 2018 წელს 2016 წლის ბაზასთან შედარებით არის 89%-იანი ზრდა, თითქმის გაორმაგება არის ინფრასტრუქტურის ხარჯების. 1 მლრდ 830 მლნ ლარის ხარჯია ჩადებული 2018 წლის ბიუჯეტში მარტო ინფრასტრუქტურის მიმართულებით მარტო სახელმწიფოს მხრიდან. ამას დაემატება კერძო სექტორის მზარდი დინამიკა. ანალიზის შედეგად, რომელიც შეუძლია ყველა თქვენგანმა ნახოს, ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი აქვს დღეს კერძო სექტორს. ანუ ეს ზრდა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე არ არის. აქედან გამომდინარე, 89%-იანი ზრდა შარშანდელ მონაცემთან შედარებით გაცილებით დიდ ეფექტს მოიტანს კერძო სექტორის მხრიდან ინვესტიციების კუთხით. ჩვენ



თუ ამას დავამატებთ იმას, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მიდის, ასევე დასრულდა იურიდიული პროცესი ანაკლიის პორტის მოსამზადებელი სამუშაოების. ფინანსურ ინსტიტუტებთან თითქმის ბოლომდეა მისული საქმე და დეკემბერში იწყება უკვე ფიზიკური მშენებლობა ანაკლიის პორტის, რაც კიდევ უფრო დიდ დინამიკას მოიტანს და ასეთი ტიპის საწარმოების პროდუქციაზე გაცილებით უფრო დიდი მოთხოვნა იქნება. ამიტომ მე მინდა მივულოცო ყველა ბიზნესმენს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ის დინამიკა და შესაძლებლობები, რომლებიც მათ მისცემს საშუალებას, გაზარდონ მასშტაბები, შეიტანონ წამყვანი კომპანიების დანადგარები, ისეთი როგორიცაა იტალიური დანადგარები ამ საწარმოში და დამერწმუნეთ, რომ ეს აუცილებლად მოიტანს დიდ უკუგებას, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

# რუსეთის გენშტაბის დელეგაცია აშშ-ში არ შეუშვეს




რუსეთის გენშტაბის დელეგაცია თავდაცვის მინისტრის მოადგილე ტრეტიაკის მეთაურობით ნიუ იორკში გამგზავრებას აპირებდა. დაგეგმილი იყო რუსეთ-ჩინეთის წარმომადგენელთა ერთობლივი ბრიფინგი აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით.

ამერიკელებმა რუსებს ვიზები არ მისცეს. რუსეთის გენშტაბის დელეგაცია აშშ-ში არ შეუშვეს.

# აშშ იუნესკოდან გადის

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადასტურა ცნობა იმის თაობაზე, რომ აშშ იუნესკოდან გადის. მიზეზი ამ ორგანიზაციის უზარმაზარი ვალები და მკვეთრად გამოხატული ანტიისრაელური მიმართულებაა.

— იუნესკოს რეფორმა აუცილებელია! რადგან ეს ვერ მოხერხდა, ანტიისრაელური მიმართულება კი გაძლიერდა, ჩვენ ამ სტრუქტურაში არაფერი გვესაქმება, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.




იუნესკოდან გასვლას ისრაელიც აპირებს. პრემიერმა ნეტანიაჰუმ განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს სათანადო განკარგულება უკვე მისცა.

— იუნესკოში არაფერი გვესაქმება, — ამბობს ნეტანიაჰუ.

# ჩრდილოეთ კორეამ ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიარა



ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის განუყოფელი ნაწილია. ფხენიანში გამოსცეს მსოფლიოს ატლასი, რომელზეც ყირიმი რუსეთის ნაწილად არის გამოხატული.

ამერიკელი ექსპერტის კლარკის აზრით, კიმ ჩენ ინის ნაბიჯი შემთხვევითი არაა. უკანასკნელ ხანს რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები გამწვავდა. ჩრდილოეთ კორეაც ცდილობს, ეს გამოიყენოს და რუსეთი მოკავშირედ გაიხადოს.

# ანდრეი ილარიონოვი: „რუსეთი უკრაინას დაუბრუნებს როგორც დონბასს, ასევე ყირიმს“

პუტინის ექსმრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა განაცხადა, რომ პუტინის მამლაყინწობა განწირულის ბოდვაა. დასავლეთის სანქციები, პლუს უკრაინელთა წინააღმდეგობა, აიძულებს რუსეთს, დათმობაზე წავიდეს.

— რუსეთი უკრაინას როგორც დონბასს, აგრეთვე ყირიმსაც დაუბრუნებს! — ამბობს ილარიონოვი.



ამავე დროს, პუტინის ექსმრჩეველმა შენიშნა, რომ ეს უცებ არ მოხდება. კრემლი ყველაფერს იღონებს, რათა სიტუაცია თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს. უახლოეს ხანებში მოსალოდნელია მთელ ევროპაში პრორუსული ლობის გააქტიურება. ინტენსიურად განხორციელდება თავად უკრაინის „ამოყირავების“ მორიგი მცდელობებიც.

— რუსეთის უკანდახევა ხვალინდელი დღეა, დღესდღეობით კი ბრძოლა გველის, — თქვა ილარიონოვმა.

# იტალიაში საარჩევნო სისტემის შეცვლა სურთ

იტალიის პარლამენტის ქვედა პალატამ საარჩევნო სისტემის შეცვლას მხარი დაუჭირა. თანახმად ახალი კანონისა, ახალი საარჩევნო სისტემა შერეული იქნება. 225 დეპუტატს მაჟორიტარულ ოლქებში აირჩევენ, 386 კი პარტიული სიებით იყრის კენჭს.

ეს იტალიაში საარჩევნო სისტემის შეცვლის მორიგი მცდელობაა.



# თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა უფრო დაიძაბება

## ანკარამ ვაშინგტონს გეოპოლიტიკური პროექტი ჩაუშალა



მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ საქართველოს ორ სტრატეგიულ პარტნიორს, თურქეთსა და აშშ-ს შორის კონფლიქტია. ექსპერტების ვარაუდით, ეს კონფლიქტი უფრო გაღრმავდება. მოსალოდნელია თურქეთის გამოსვლა ანტიტერორისტული კოალიციიდან.

„ისლამურ სახელმწიფოსთან“ მებრძოლი კოალიცია აშშ-ის ხელმძღვანელობით სამი წლის წინ შეიქმნა. მასში 60-ზე მეტ სახელმწიფოსთან ერთად თურქეთიც გაერთიანდა.

ბოლო დროს თურქეთი ახლო აღმოსავლეთში ამ კოალიციის გარეშე გააქტიურდა. სირიის იდლიბის პროვინციაში ანკარამ წამოიწყო მისია, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს აკვირდება და ატარებს მოქმედებებს რუსეთთან და ირანთან ერთად.

გერმანული მედიის შეფასებით, თურქეთის პრეზიდენტის მუქარა, რომ ის დატოვებს საერთაშორისო კოალიციის რიგებს, მიზნად ისახავს ზეწოლას აშშ-ის პრეზიდენტზე. ანკარას უნდა, ხელი ააღებინოს ვაშინგტონს ქურთი მებრძოლების შეიარაღებაზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთთან და ირანთან სირიის ერთობლივი სამხედრო ოპერაციით თურქეთი ანგრევს გეოპოლიტიკურ ამერიკულ პროექტს. ამ პროექტის მიზანია დერეფნის გახსნა ჩრდილოეთ სირიიდან და დიდი ქურთისტანის დაკავშირება ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან.

არსებობს თურქეთ-რუსეთ-ირანის კავშირის გაფართოების პერსპექტივა და ალიანსის შექმნა თურქეთს, რუსეთს, ირანს, ეგვიპტეს, საუდის არაბეთსა და ერაყს შორის.

ანკარა-მოსკოვი-თეირანის კავშირს უკვე გამოეხმაურნენ ქართველი ექსპერტები, რომლებმაც კავკასიაში გეოპოლიტიკური ცვლილებები დააანონსეს. ახალი ფართო ალიანსის შექმნა, დიდი ალბათობით, რეგიონში უფრო მეტ ცვლილებას გამოიწვევს.

ექსპერტები აშშ-სა და თურქეთს შორის კონფლიქტის მთავარ მიზეზებზეც ალაპარაკდნენ. მათი აზრით, დაპირისპირების სათავე უკავშირდება კორუფციულ სკანდალს თურქეთში. „დიდი ქრთამის“ სახელით ცნობილი სკანდალი 2013 წელს იყო აქტუალური, მაგრამ მისი გამოძიება ფაქტობრივად შეჩერდა.

აშშ-ის გენერალური საკონსულოს თანამშრომელი, რომელიც თურქეთის ძალოვნებმა ცოტა ხნის წინ მთავრობის დამხობის მცდელობისა და შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს, ამ სკანდალთან აღმოჩნდა დაკავშირებული. მას კავშირი ჰქონდა იმ პროკურორებთან და პოლიციელებთან, რომლებიც კორუფციის საქმეს იძიებდნენ. მის დაკავებას მოჰყვა აშშ-ის მხრიდან თურქეთის მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემის შეწყვეტა. საპასუხოდ ანკარამ იგივე ნაბიჯი გადადგა.

კორუფციულ სკანდალთან არიან მიბმული ირანელი ბიზნესმენი ზარაბი და თურქული „ჰალკ ბანკის“ დირექტორის მოადგილე. ისინი აშშ-ში იმყოფებიან და ნოემბერში მათი საქმეების სასამართლო განხილვა დაიწყება. თურქეთი ამაოდ მოითხოვს მათ გადმოცემას. ირანელი ზარაბი თურქეთთან ვაჭრობდა მაშინ, როცა დაწესებული იყო სანქციები ირანის წინააღმდეგ.

ადრე ანკარა ვაშინგტონს ქველმოქმედი გიულენის გადმოცემას სთხოვდა.

ექსპერტების ინფორმაციით, ერდოღანს სურს, ანტიკორუფციული სკანდალი სრულად ჩაფარცხოს და მას შეთქმულება უწოდოს.

ამის მიზეზი ისაა, რომ ირანელი ზარაბი აფინანსებდა ფონდს, რომელსაც ერდოღანის მეუღლე უდგას სათავეში.

# გენერალი პოლტორაკი: „მზად ვარ, გადავდგე!“

როგორც ცნობილია, უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი პავლოვსკი, დააპატიმრეს. მას დიდი თანხის გაფლანგვა ედება ბრალად. თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა პოლტორაკმა კი გამოთქვა მზადყოფნა გადადგომის შესახებ:

— მზად ვარ, გადავდგე! — ამბობს პოლტორაკი.

პავლოვსკი შინაპატიმრობაში გადაიყვანეს. რაც შეეხება პალტორაკს, მის ბედს პრეზიდენტი პოროშენკო გადაწყვეტს.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ლიკა ქავჟარაძე მოკლეს და მკვლელი ცნობილია

ამ განცხადებას მხატვარი **გია ეძგვერაძე** აკეთებს:

– ლიკა ქავჟარაძე მოკლეს და მკვლელი ცნობილია! არანაირ თავის მოკვლას არ ჰქონია ადგილი! ეს მკვლელი არის პატრიარქატი! თავისი ქალის „გაღმერთებებით“, „იდეალების“ გაფორმებებით, რაც საკუთარი მორალური მისიის არიდების უმდარესი ტაქტიკაა, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობის ქალ-„უბიწობაზე“ გადაბარებით. ასეთი გაიდეალებები, გაქალღმერთებები არაადეკვატურს ხდის ადამიანს, ქალს, შემდეგ ეტაპზე კი დგება ქალის მოხმარების, მისი კაცის დასაკმაყოფილებელ ობიექტად ქცევის, გახელებული რომ დასდევენ ქალს და თავს ახვევენ თავის აღტყინებას, პერიოდი. პატრიარქატი ასეთი სტრატეგიებით საერთოდ ყოველგვარ ადამიანობას და სიყვარულს ანადგურებს, ყალბს ხდის, სულს ყოველგვარ სიმშვიდეს უკარგავს.

ეს უსაზიზღრესი დამოკიდებულება ყველაზე მეტად ვლინდება გამორჩეულ და არასტანდარტულ ფიზიკურ გარეგნობასთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ყალბ განდიდებებზე, რომელსაც სარჩულად არანაირი სიყვარულის მოკრძალება და ნამდვილი თაყვანისცემის სიმშვიდე არ გააჩნია.

პატრიარქატს, ამ ოფიციალურ და დაკანონებულ მკვლელს, არაერთი მოუკლავს მერლინ მონროს ჩათვლით და კიდევ არაერთს მოკლავს, სანამ არ გადაშენდ-ჩამთავრდება ეს უზნეო აღტყინებების ეპოქა. პატრიარქატმა თავისი ისტორიული მისია მოათავა, ფინიშის სწორზე ადამიანები, კაცობრიობა გაგვიყვანა და როგორც ყველაფერი მისია გამოცლილი სულ უფრო და უფრო



სრულფასოვანი ბოროტმოქმედი ხდება...

ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალებას ეხმაურება მწერალი **მანანა დუმბაძე** და სრულიად საქართველოს უსამძიმრებს:

– აი, ასე უნდა დაიტირო მარიტა. რამდენჯერ სცადა ამქვეყნიდან წასვლა და გაფრინდა ბოლოს დალალული პეპელასავით. გისამძიმრებ საქართველო!“

„მარიტას სიკვდილმა, როგორც ხალხი იტყოდა, – მთები გადააბნელა, ქვეყანა დააცარიელა, ქვა დაადნო, კლდე დაშალა...

ხალხური ლექსი იტყოდა: მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო!

იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო, – მარიტა მოდისო!

საიქიოში ოქროს სკამი მიართვესო, დაღლილსაო.

ღვთისმშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გეტყობა, ძლიერ დაღლილხარ, დაჯე, შვილო, შორიდან მომავალი ხარ!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შუბლზე უნდა მოესვა, რომ გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიმეტაო, მოინდომა, სულ გვერდით ჰყოლოდა, ახლაც გვერდითა ჰყავსო ვარსკვლავადო...

...ჩემს წინ ახლად აყვავებული, ცეცხლისფრიანი ბროწეულის ყვავილი მიღიმოდა, მარიტას სახესავით ალაკრული!

ვუყურებდი მხიარულ, მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებს დედამიწას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ყვავილიანი ხე ამოსულიყო თავისით!

მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!“

ხელოვნების სასახლემ კი ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მის ფოტო ფონდში დაცული მსახიობის უცნობი ფოტოები გამოაქვეყნა:

– ღვინობისთვეში დაიბადა და ამავე თვეში, ვიდრე 58-ის გახდებოდა, ცხოვრება უდროო დროს შეწყვეტილი ფილმივით დაასრულა... ლიკა – ქალი რომელიც დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს აღაფრთოვანებდა, ნუსხავდა და სიყვარულით ავსებდა... აიკინძა მისი ცხოვრების ფურცლები და გამოვიდა წიგნი ისეთივე ღრმა, უჩვეულო და განსხვავებული, როგორც მისი არაამქვეყნიური სილამაზე და განუზომელი ხიბლი იყო.

# ელენე ახვლედიანის შთამომავლებისთვის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება



15 ოქტომბერს ვაკის პარკში მდებარე კლუბში 33ა საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის შთამომავლებს მიეძღვნება.

იკა ახვლედიანს, მის 77 წლის დედას, მეუღლეს და 4 მცირეწლოვან შვილს ქუჩაში დარჩენა ემუქრება. მათ ბინიდან მევახშეები ასახლებენ. კლუბში 33ა გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნიაზ დიასამიძე, ნინო ქათამაძე, რომა რცხილაძე, გია ნიკოლაძე და მეგობრები...

იკა ახვლედიანის ოჯახის დასახმარებელ საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 25 ლარია.

**იკა ახვლედიანი:**

– უძრავი ქონების შემსყიდველი, გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, გვთხოვდა უკან დაგროვილ ვალს, რომელიც ჩემს ინვალიდის სავარძელში მყოფ ნათესავს მოხმარდა, თუმცა ამ ვალის ლომის წილი მაინც ჯარიმებმა შეადგინა. გადაუხდელობის შემთხვევაში, მიჰქონდათ ჩემი და ჩემი ოჯახის სახლი.

პირველ რიგში, მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა დახმარებისათვის, იმ გაჭირვების დროს. უამრავი ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების მხრიდან ვიგრძენით ძალიან დიდი მხარდაჭერა, მორალური თუ ფინანსური. მადლობა დიდი იმ ხელოვან ხალხს, ვინც უსასყიდლოდ გადმოგვცა თავიანთი ნამუშევრები გამოფენა-აუქციონისათვის, რომელსაც თიბისი ბანკმა გაუკეთა ორგანიზაცია. შედეგად, შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც ჩვენ იმედი გვქონდა ამ ძნელბედობის დროს წინ წაიგდებდა ჩვენ საქმეს და მთლიანი თანხის რაღაც ნაწილს გაუსტუმრებდა ჩვენს მევალეებს.

უკვე დაწყნარებულები ვიყავით, რომ გადახდის საწყის ეტაპზე ეს თანხა გაგვიადვილებდა მე და ჩემს ოთხ შვილს სახლის შენარჩუნებას. დარჩენილ ნაწილსაც, ეტაპობრივად დავფარავდით. სამწუხაროდ, ჩვენდა განსაცვიფრებლად, „მევახშეები“ შეგროვებულ თანხას ხელს არ კიდებენ და ითხოვენ სრულ 60 000 დოლარს.

როგორც გახსოვთ, ჩვენ უსასყიდლოდ გადავეცით ხელისუფლებას ელენე ახვლედიანის სახლი და უამრავი შედევრი-ნახატი, რომელთა თითოეულის ფასიც ასეულ ათასობით დოლარში არის შეფასებული და ამ ნახატთა რიცხვი არის 3600 ერთეული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილზე პრეტენზია არასდროს გამოგვიცხადებია, თუმცა ერთი ტილოს ფასიც გაგვისტუმრებდა ვალს.

მთავრობის მხრიდან არანაირი მხარდაჭერა არ გვიგრძნია. შეიძლება ვინმესთვის ამ ისტორიის კიდევ ერთხელ გახმაურება მომაბეზრებელიც იყოს, ჩვენთვის კი ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. უამრავი გულშემატკივრის დახმარებით შეგროვდა თანხა, არც თუ ისე ცოტა, რომელსაც შეგნებულად არ გვართმევენ... და უკვე თვის ბოლოს, გვემუქრებიან გასახლებით.

შექმნილ სიტუაციაში, აღარც ვიცით რა ვქნათ. დრო კი ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. გვინდა მივაწვდინოთ ხმა დღევანდელ მთავრობას. ბოლოს და ბოლოს, იქნებ გამოგვეხმაურონ ის პირები, რომელთაც შეუძლიათ და ევალებათ კიდეც, გააჟღერონ თავიანთი აზრი ამ კონკრეტულ შემთხვევაზე. უკვე ჩიხში ვართ და აღარც ვიცით, რა გზას მივმართოთ. იქნებ, რომელიმე ფინანსურმა ორგანიზაციამ ითავოს და გადაიფორმოს ჩვენი სახლი, ჩვენ კი წინასწარ გაწერილი გრაფიკით, გარკვეული წლების განმავლობაში კონტრაქტით, საშუალება მოგვცეს პირნათლად დავფაროთ არსებული ვალი. ეს არის გამოსავლის ერთ-ერთი ვარიანტი ჩვენი გადმოსახედიდან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*სპორტი*

# დინამომ სუპერთასიც მოიგო

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გამარჯვებული თბილისის დინამო გახდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა სატიტულო მატჩში ქუთაისი 18 ქულის სხვაობით – 88:70 დაამარცხა და მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ტიტული მოიგო.

წლების მანძილზე სუპერთასი სეზონის ბოლოს იმართებოდა, თუმცა მეორე სეზონია, აღნიშნული ტიტულის გათამაშება სეზონის დასაწყისში გადმოიტანეს, რომელშიც სუპერლიგის მოქმედი ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი მონაწილეობენ.

დინამოელებმა ერთი კვირის წინ დუდუ დადიანის თასი მოიგეს და ახლა სუპერთასიც მიამატეს. მოქმედმა ჩემპიონმა შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვებაც დაიმსახურა. მიხეილ ბერიშვილისა და ამერიკელი ლეგიონერების – ლაველ ბოიდისა და კაილ ტურპინის ლიდერობით დინამოელებმა თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს. იყო მომენტები, როცა ქუთაისელებმა თამაში დაალაგეს და მეტოქეს მიუახლოვდნენ, თუმცა ამას დროებითი და ხანმოკლე ხასიათი ჰქონდა.

თამაში ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა და დინამოელებმა მორიგი ტიტულის მოგება აღნიშნეს. გამარჯვებულთაგან 22 ქულით ბომბარდირი ლაველ ბოიდი გახდა, საუკეთესო მარგი ქმედების კოეფიციენტი (34) კი კაელ ტურპინს ჰქონდა, რომელმაც 20 ქულა, 11 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა მიხეილ ბერიშვილმა, რომელმაც თავი 20 ქულას, 7 მოხსნას და 3 ჩაჭრას მოუყარა.

ქუთაისში ორმაგი დუბლით გამოირჩა აკაკი დვალიშვილი, რომლის ანგარიშზეც 14 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. ქუთაისელთაგან 19 ქულით ბომბარდირი გახდა ბექა ბექაური, ჯონათან ლის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა.




მატჩის შემდეგ შედგა დაჯილდოების ცერემონიალი. დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და ოთარ ქორქიას შვილმა, ვეტერანმა კალათბურთელმა, ნოდარ ქორქიამ გადასცეს.

**მ. ჟ.**


# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

წიგნის მაღაზია „არსს“ ესაჭიროება გამყიდველი ქუჩაში, მაღაზიის წინ. მისამართი: რუსთაველის გამზირი №16. ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# სუპერტური ევროპაში — ისიამოვნეთ ფეხბურთით

## სტატისტიკა, ფსონები

ფეხბურთის მოყვარულებისთვის სუპერტურია ევროპაში: ინგლისში ლივერპული შინ დაუხვდება მანჩესტერს, ესპანეთში ატლეტიკო მასპინძლობს ბარსელონას, იტალიაში იუვენტუსი-ლაციო და რომა-ნაპოლია — ლიდერთა მატჩები. თუმცა გამორჩეული დელა მადონინაა, მილანური დერბი — ინტერი-მილანი.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10 ლივერპული-მანჩესტერი | 2.7 | 3.25 | 2.6 |
| 14.10 კრ.პალასი-ჩელსი | 10.0 | 4.5 | 1.36 |
| 14.10 სიტი-სტოკი | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 14.10 ტოტენჰემი-ბორნმუთი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 14.10 ბარნლი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 14.10 სუონსი-ჰადერსფილდი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 14.10 უოტფორდი-არსენალი | 5.0 | 4.2 | 1.61 |
| 15.10 ბრაიტონი-ევერტონი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 15.10 საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 16.10 ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 3.4 | 3.8 |

**ლივერპული-მანჩესტერი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მაიკლ კერიკი, პლ პოგბა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მარკოს როხო

**კრ.პალასი-ჩელსი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სკოტ დანი, ჯეიმს ტომკინსი, კრისტიან ბენტეკე, ვილფრედ ზაჰა

ჩელსი: ***ტრავმ***-ალვარო მორატა, დენი დრინვოთერი

**სიტი-სტოკი**

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, ბენჯამინ მენდი, ვინსენტ კომპანი

სტოკი: ***ტრავმ***-ბრუნო ინდი, სტივენ აირლანდი

**ტოტენჰემი-ბორნმუთი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-მუსა დემბელე, ვიქტორ ვანიამა, დენი როუზი, ერიკ ლამელა

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჰარი არტერი, ტაირონ მინგსი

**ბარნლი-ვესტ ჰემი**

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, ტომ ჰატონი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მარკო არნაუტოვიჩი, პედრო ობიანგი

**სუონსი-ჰადერსფილდი**

სუონსი: ***ტრავმ***-კილი ბარტლი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-მაიკლ ჰელეფე, დანიელ უილიამსი, კეისი პალმერი, სტივ მუნიე

**უოტფორდი-არსენალი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ნათან ჩალობა, სებასტიან პროდი, იუნის ქაბული, მაურო ზარატე

არსენალი: ***ტრავმ***-მესუთ იოზილი, დანი უელბეკი, სანტი კაზორლა

**ბრაიტონი-ევერტონი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**საუთჰემპტონი-ნიუკასლი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამერტი

**ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი**

ლესტერი: ***ტრავმ***-მეტიუ ჯეიმსი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 7 | 6 | 1 | 0 | 22-2 | 19 |
| 2.მანჩესტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-2 | 19 |
| 3.ტოტენჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-5 | 14 |
| 4.ჩელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 5.არსენალი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 6.ბარნლი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 7.ლივერპული | 7 | 3 | 3 | 1 | 13-12 | 12 |
| 8.უოტფორდი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-12 | 12 |
| 9.ნიუკასლი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-6 | 10 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 11.ჰადერსფილდი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 9 |
| 12.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 |
| 13.სტოკი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 14.ბრაიტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-13 | 7 |
| 16.ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-12 | 7 |
| 17.ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| 18.სუონსი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 19.ბორნმუთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-11 | 4 |
| 20.კრ.პალასი | 7 | 0 | 0 | 7 | 0-17 | 0 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10 ბილბაო-სევილია | 2.37 | 3.4 | 2.0 |
| 14.10 ხეტაფე-რეალი | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 14.10 ალავესი-სოსიედადი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 14.10 ატლეტიკო-ბარსელონა | 2.75 | 3.25 | 2.6 |
| 15.10 ეიბარი-დეპორტივო | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 15.10 ხირონა-ვილიარეალი | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 15.10 მალაგა-ლეგანესი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 15.10 ბეტისი-ვალენსია | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 16.10 ლას პალმასი-სელტა | 2.45 | 3.4 | 2.8 |

**ბილბაო-სევილია**

ბილბაო: ***ტრავმ***-იკერ მუნიანი

სევილია: ***ტრავმ***-არავინ

**ხეტაფე-რეალი**

ხეტაფე: ***ტრავმ***-არავინ

რეალი: ***ტრავმ***-დანი კარვახალი, გარეთ ბეილი, მარსელო, მატეო კოვაჩიჩი

**ალავესი-სოსიედადი**

ალავესი: ***ტრავმ***-ექტორი

სოსიედადი: ***ტრავმ***-ადნან იანუზაი, ინიგო მარტინესი

**ატლეტიკო-ბარსელონა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ლუკას ერნანდესი, ფილიპე ლუისი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ოსმან დემბელე

**ეიბარი-დეპორტივო**

ეიბარი: ***ტრავმ***-ალექს გალვესი, ივან რამისი, ივან ალიეხო

დეპორტივო: ***ტრავმ***-ადრიანი, პედრო მოსკერა, რუბენი

**ხირონა-ვილიარეალი**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანდრეს ფერნანდესი

**მალაგა-ლეგანესი**

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ

ლეგანესი: ***ტრავმ***-მარტინ მანტოვანი, ომარ რამოსი, ეზეკიელ მუნიოსი

**ბეტისი-ვალენსია**

ბეტისი: ***ტრავმ***-ვიქტორ კამარასა

ვალენსია: ***ტრავმ***-რუბენ ვეზო

**ლას პალმასი-სელტა**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ვიტოლო, დანიელ კასტელანო, ლოიკ რემი, ალენ ჰალილოვიჩი

სელტა: ***ტრავმ***-პაბლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 7 | 7 | 0 | 0 | 23-2 | 21 |
| 2.სევილია | 7 | 5 | 1 | 1 | 9-3 | 16 |
| 3.ვალენსია | 7 | 4 | 3 | 0 | 15-7 | 15 |
| 4.ატლეტიკო | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 5.რეალი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 6.ბეტისი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-11 | 13 |
| 7.ლეგანესი | 7 | 3 | 2 | 2 | 5-3 | 11 |
| 8.სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 17-17 | 10 |
| 9.ვილიარეალი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-9 | 10 |
| 10.ლევანტე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-10 | 9 |
| 11.სელტა | 7 | 2 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| 12.ხეტაფე | 7 | 2 | 2 | 3 | 9-7 | 8 |
| 13.ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| 14.ესპანიოლი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 15.დეპორტივო | 7 | 2 | 1 | 4 | 9-16 | 7 |
| 16.ხირონა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 17.ლას პალმასი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-13 | 6 |
| 18.ეიბარი | 7 | 2 | 0 | 5 | 3-17 | 6 |
| 19.ალავესი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-10 | 3 |
| 20.მალაგა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-16 | 1 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10 ბაიერნი-ფრაიბურგი | 1.06 | 12.0 | 29.0 |
| 14.10 ჰერტა-შალკე | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 14.10 ჰანოვერი-აინტრახტი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 14.10 მაინცი-ჰამბურგი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 14.10 დორტმუნდი-ლაიფციგი | 1.55 | 4.33 | 5.5 |
| 15.10 ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 15.10 ვერდერი-გლადბახი | 2.5 | 3.6 | 2.6 |

**ბაიერნი-ფრაიბურგი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არტურო ვიდალი, მანუელ ნოიერი, ხუან ბერნატი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ამირ აბრაში, ვინსენტ სიერო, მარკ-ოლივერ კამპი

**ჰერტა-შალკე**

ჰერტა: ***ტრავმ***-სებასტიან ლანგკამპი

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

**ჰანოვერი-აინტრახტი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ფელიპე

აინტრახტი: ***ტრავმ***-გელსონ ფერნანდესი, დანი და კოსტა

**მაინცი-ჰამბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-სვენ შიპლოკი, რიკ ვან დრონგელენი, ფილიპ კოსტიჩი, ნიკოლაი მიულერი

**დორტმუნდი-ლაიფციგი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარსელ შმელცერი, მარკო როისი, ერიკ დარმი, სებასტიან როდე, ანდრე შურლე

ლაიფციგი: ***ტრავმ***-არავინ

**ლევერკუზენი-ვოლფსბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მარიო გომესი

**ვერდერი-გლადბახი**

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუდვიგ აუგუსტინსონი, ლამინე სანე, მაქს კრუზე

გლადბახი: ***ტრავმ***-ლასლო ბენეში, იბრაჰიმ ტრაორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-2 | 19 |
| 2.ბაიერნი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-7 | 14 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 4.ლაიპციგი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-8 | 13 |
| 5.ჰანოვერი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| 6.აუგსბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 7.გლადბახი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-12 | 11 |
| 8.აინტრახტი | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 10 |
| 9.შალკე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 10 |
| 10.ჰერტა | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 11.ლევერკუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| 12.ვოლფსბურგი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-9 | 7 |
| 13.მაინცი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 14.შტუტგარტი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| 15.ფრაიბურგი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-11 | 7 |
| 16.ჰამბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-11 | 7 |
| 17.ვერდერი | 7 | 0 | 4 | 3 | 3-7 | 4 |
| 18.კიოლნი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-15 | 1 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10 იუვენტუსი-ლაციო | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 14.10 რომა-ნაპოლი | 2.8 | 3.6 | 2.37 |
| 15.10 ფიორენტინა-უდინეზე | 1.7 | 3.4 | 5.5 |
| 15.10 კროტონე-ტორინო | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 15.10 კალიარი-ჯენოა | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 15.10 სამპდორია-ატალანტა | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 15.10 ბოლონია-სპალი | 1.8 | 3.3 | 5.0 |
| 15.10 სასუოლო-კიევო | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 15.10 ინტერი-მილანი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 16.10 ვერონა-ბენევენტო | 1.85 | 3.5 | 4.33 |

**იუვენტუსი-ლაციო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ხედირა, მირალემ პიანიჩი, კლაუდიო მარკიზიო, მარკო პიაცა, მატია დე შილიო, ბენედიქტ ჰოივედესი

ლაციო: ***ტრავმ***-ლუის ალბერტო, სტეფან დე ვრეი, ბასტოსი, დუშან ბასტა

**რომა-ნაპოლი**

რომა: ***ტრავმ***-გრეგუარ დეფრე, დიეგო პეროტი, პატრიკ შიკი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არკადიუშ მილიკი

**ფიორენტინა-უდინეზე**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-კრისტიანო ბიგარი, რაფიკ ზეჰნინი

უდინეზე: ***ტრავმ***-ემილ ალფრედსონი, დანილო

**კროტონე-ტორინო**

კროტონე: ***ტრავმ***-მარკო ტუმინელო, ალექსანდარ ტონევი

ტორინო: ***ტრავმ***-ანტონიო ბარეკა, ჯოელ ობი

**კალიარი-ჯენოა**

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსუ, ლუკა ჯეპიტელი

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლას სპოლი, ჯანლუკა ლაპადულა

**სამპდორია-ატალანტა**

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი

**ბოლონია-სპალი**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფედერიკო დი ფრანჩესკო, ლადისლავ კრეიჩი

სპალი: ***ტრავმ***-მარიუს ოიკონომუ, სერჟიო ფლოკარი

**სასუოლო-კიევო**

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-მასიმო გობი

**ინტერი-მილანი**

ინტერი: ***ტრავმ***-ჟოაო კანსელო

მილანი: ***ტრავმ***-ანდრეა კონტი, ლუკა ანტონელი

**ვერონა-ბენევენტო**

ვერონა: ***ტრავმ***-არავინ

ბენევენტო: ***ტრავმ***-პიეტრო იემელო, ლუკა ანტეი, ამატო ჩიჩირეტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 7 | 7 | 0 | 0 | 25-5 | 21 |
| 2.იუვენტუსი | 7 | 6 | 1 | 0 | 20-5 | 19 |
| 3.ინტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| 4.ლაციო | 7 | 5 | 1 | 1 | 19-9 | 16 |
| 5.რომა | 6 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 |
| 6.ტორინო | 7 | 3 | 3 | 1 | 12-11 | 12 |
| 7.მილანი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 8.სამპდორია | 6 | 3 | 2 | 1 | 8-8 | 11 |
| 9.კიევო | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| 10.ბოლონია | 7 | 3 | 2 | 2 | 6-7 | 11 |
| 11.ატალანტა | 7 | 2 | 3 | 2 | 12-10 | 9 |
| 12.ფიორენტინა | 7 | 2 | 1 | 4 | 10-10 | 7 |
| 13.უდინეზე | 7 | 2 | 0 | 5 | 12-13 | 6 |
| 14.კალიარი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-11 | 6 |
| 15.სპალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-12 | 5 |
| 16.კროტონე | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| 17.სასუოლო | 7 | 1 | 1 | 5 | 4-15 | 4 |
| 18.ვერონა | 7 | 0 | 3 | 4 | 3-16 | 3 |
| 19.ჯენოა | 7 | 0 | 2 | 5 | 5-11 | 2 |
| 20.ბენევენტო | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.10 დიჟონი-პსჟ | 19.0 | 8.5 | 1.12 |
| 14.10 კაენი-ანჟე | 2.5 | 2.87 | 3.2 |
| 14.10 ტულუზა-ამიენი | 1.8 | 3.4 | 4.8 |
| 14.10 ლილი-ტრუა | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 14.10 გენგამი-რენი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 14.10 სტ.ეტიენი-მეცი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 15.10 ბორდო-ნანტი | 1.71 | 3.6 | 5.0 |
| 15.10 მონპელიე-ნიცა | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 15.10 სტრასბური-მარსელი | 3.6 | 3.6 | 1.95 |

**დიჟონი-პსჟ**

დიჟონი: ***ტრავმ***-ვესლი ლაუტოა

პსჟ: ***ტრავმ***-ხავიერ პასტორე

**კაენი-ანჟე**

კაენი: ***ტრავმ***-კრისტიან კოაკოუ

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა-ამიენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ისა დიოპი, ჯიმი დურმაზი, მაქს გრადელი

ამიენი: ***ტრავმ***-გუსომა ფოფანა

**ლილი-ტრუა**

ლილი: ***ტრავმ***-იასინ ბენზია, კევინ მალკო, ტიაგო მენდესი

ტრუა: ***ტრავმ***-მეტიუ დეპლა, შტეფან დარბიონი, ოსვალდო ვიზკარონდო, ბენჯამინ ნივე

**გენგამი-რენი**

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონათან პერეირა

რენი: ***ტრავმ***-ისმაილ სარი, ჯორდან ტელი, ედსონ მექსე, იოან გურკუფი

**სტ.ეტიენი-მეცი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ბრაიან დაბო, გაბრიელ სილვა

მეცი: ***ტრავმ***-ჟან ჟოფრე, აბლი იალოუ, იბრაჰიმა ნიანე, ემანუელ რივიერა, ჯონათან რივიერესი

**ბორდო-ნანტი**

ბორდო: ***ტრავმ***-არავინ

ნანტი: ***ტრავმ***-ნიკოლას პალო, ლაექსანდერ კაჩანიკლიჩი, იასინ ბამო

**მონპელიე-ნიცა**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჯონათან იკონე, ჯოვანი სიო

ნიცა: ***ტრავმ***-კრისტოფერ ჟალე, ნამპალის მენდი

**სტრასბური-მარსელი**

სტრასბური: ***ტრავმ***-არავინ

მარსელი: ***ტრავმ***-აიმენ აბდენური

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 7 | 1 | 0 | 27-5 | 22 |
| 2.მონაკო | 8 | 6 | 1 | 1 | 22-9 | 19 |
| 3.მარსელი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-12 | 16 |
| 4.ნანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 6-5 | 16 |
| 5.კაენი | 8 | 5 | 0 | 3 | 7-4 | 15 |
| 6.ბორდო | 8 | 4 | 3 | 1 | 15-13 | 15 |
| 7.სტ.ეტიენი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-8 | 14 |
| 8.ლიონი | 8 | 3 | 4 | 1 | 17-13 | 13 |
| 9.ტრუა | 8 | 3 | 2 | 3 | 7-7 | 11 |
| 10.ნიცა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 11.გენგამი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 12.ანჟე | 8 | 1 | 6 | 1 | 12-11 | 9 |
| 13.მონპელიე | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| 14.ტულუზა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-15 | 8 |
| 15.რენი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-13 | 6 |
| 16.ამიენი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-10 | 6 |
| 17.დიჟონი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 18.ლილი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 19.სტრასბური | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 20.მეცი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-14 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ილიას ზუროსი და მაიკლ დიქსონი საქართველოს ნაკრებში რჩებიან

ბერძენმა სპეციალისტმა ილიას ზუროსმა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. გასული ევრობასკეტის შემდეგ ზუროსს კონტრაქტი ამოეწურა და, ორივე მხარის გადაწყვეტილებით, ბერძენ სპეციალისტთან ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ზუროსი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გაწვრთნის.



ილიას ზუროსი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სუპერთასის გათამაშებას დაესწრო, ხოლო მასმედიასთან შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— მოხარული ვარ, რომ ახალი, 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარე კმაყოფილია, მეც და საქართველოს კალათბურთის ფედერაციაც. განვლილ 2 წელიწადში გავმართეთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები და ვიასპარეზეთ ევრობასკეტზე. მომდევნო ციკლი მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპებია. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მძიმე სიტუაციაა, რადგან განახლებული გუნდით მოგვიწევს გამოსვლა. თუმცა მოხარული ვარ, რომ ახალ ციკლს ახალი იმედითა და კარგის მოლოდინით ვიწყებთ.

ნაკრებში რჩება მაიკლ დიქსონიც, რომელიც საქართველოში 2-წლიანი შეთანხმებით თამაშობდა. იასპარეზა ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე (2016) და ევრობასკეტზე (2017). ამის შემდეგ თავისუფლად შეეძლო უარი ეთქვა საქართველოს ნაკრების დახმარებაზე, მაგრამ მაიკლი მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპზეც მოირგებს საქართველოს ნაკრების მაისურს.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 16 ოქტომბერი

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30, 03.10** დღის მხ/ფ **"ჩემი ოცნების ქალი"** (მ.როკი) **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 05.00** დოკ/ფ "გამოქვაბული" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი" 18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.40** ტ/სერ. **"ამერიკული ოდისეა" 23.40** ეროვნული ლიგის მიმოხილვა. **00.00** მხ/ფ **"21 "** (კ.სპეისი)

**06.30, 16.00** სერ. **"ტყუილი" 07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი" 11.20** სერ. **"ფიცი" 12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ქალაქის გული" 5** სერ. **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"დედა" 1** სერ. **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ **"გახსოვდეს" 02.20** მხ/ფ **"წაშლილი" 04.15** მხ/ფ **"ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი"**

**06.00, 18.50** სერ. **"დესპოტი ქმარი" 07.00, 20.03** სერ. **"დედამთილი" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო" 15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. **"უსასრულო მოლოდინი" 22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-3" 11.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები-3" 13.00** სერ. **"ძვლები 10" 17.00** სერ. **"სამხედროების ცოლები" 21.00** სერ. **"სპირალი 4" 22.30** მხ/ფ **"ნიუ იორკის ბანდები" 01.30** მხ/ფ **"სახელმწიფოს მტერი" 03.50** მხ/ფ **"ცეცხლოვანი კედელი" 05.50** მხ/ფ **"პრეზიდენტის თვითმფრინავი"**

